# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 27 მაისი 2005 №117 (2440) ფასი 50 თეთრი


# ევროლიანდაგი

## 26 მაისის შოუ ლოკომოტივმა დახურა





**ელირსა?**

ალენ შირესმა ზვიად სტურუა დაინახა

3



**ძველ ადგილას**

გიო ახვლედიანი სტამბოლიდან

5



**დათვებიც ჩამოვიცილეთ, წინ მუხის ფოთლებია**

ახალგაზრდა ბორჯღალოსნები ფინალში არიან

13

# დავით ყიფიანის თასი
# ფინალი

# წვიმის ფარდა
## SIC! სტადიონზე ხალხი იყო!




გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მიხეილ ბობოხიძის (მარცხნივ) გოლმა „ლოკომოტივი" ევროპაში გაახედა

თბილისი. 26 მაისი. 19.30 საათი. ეროვნული. 17 000 (ტევადობა 70 900)

**ლოკომოტივი 2:0 ზესტაფონი**

1:0 ბობოხიძე (55), 2:0 მანჩხავა (61)

**ლოკომოტივი:** სტურუა, რ. ონიანი, მახვილაძე, მანჩხავა, გ. ონიანი, გიგაური, სეთურიძე, ლ. ქებაძე (ჩივაძე 90), სირბილაძე (რამონი 75), ბობოხიძე (კახელიშვილი 81), სანიკიძე
*სათადარიგონი:* ზ. ჩალაძე, დ. ფოფხაძე, ალავერდაშვილი
**მწვრთნელი:** ნოდარ აკობია

**ზესტაფონი:** სომხიშვილი, ჩიკვილაძე (იმედაძე 63), შ. ღონღაძე, ს. თოდუა, გუჩუა (ბესარაშვილი 57), ძამსაშვილი, ჯ. ჩხეტიანი, განუგრავა (ნუდნი 68), გ. თურმანიძე, ზირაქიშვილი, იონანიძე
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; შავგულიძე, სულაკაძე, ბ. გოცირიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** სეთურიძე (32), იონანიძე (50)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** ა. მილჩენკო



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

კობა ინასარიძე

**კარგი იყო**, ყველაფერი კარგი იყო... თავსხმა რომ არ ყოფილიყო, უკეთესიც იქნებოდა. წვიმამ ფინალის ორგანიზატორებს გეგმები აურია, თუმცა ეგ არაფერი, მთავარია, პროფლიგამ იმუშავა, ეროვნულ სტადიონზე ბოლო ხანს ხალხის არნახულ რაოდენობას მოუყარა თავი და კიდევ უფრო მთავარი — ხალხმა ისიამოვნა. ამისთვის ფინალის ორგანიზატორები ალალ მადლობას იმსახურებენ.

ფინალური მატჩი კი გუშინ და თანაც რვის ნახევარზე არ დაწყებულა. უფრო ადრე დაიწყო მაშინ, როცა „ლოკომოტივმა" და „ზესტაფონმა" გაარკვიეს, რომ ფინალი, ანუ ევროსაგზურისთვის ბრძოლა ელოდათ.

„ზესტაფონი" დაირაზმა, ნახევარი თუ არა, მეოთხედი ზესტაფონი კლუბის ძალიან შეძლებულმა პატრონმა „ფერომ" უფასო მატარებლით და ავტობუსებით თბილისის გზას დააყენა. მათ ფონზე გაცილებით მოკრძალებულნი ჩანდნენ „ლოკომოტივის" გულშემატკივრები, თუმც ცნობილმა შოუმენმა გოჩა თანდარაშვილმა ისე „დაქოქა" თბილისელები, რომ ორჯერ მეტ სტუმარს უმრავლესობა არ უგრძვნია. თავის მხრივ, ზესტაფონელებს ნიკა ქავთარაძე აგულიანებდა და საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად მოუწოდებდა.

მოკლედ, ვიდრე მოედანზე მთავარი ამბავი დაიწყებოდა, საპირისპირო ტრიბუნებიდან საქმე მეტოქეთა ქომაგებმა „გაარჩიეს", ერთიორიც წაუმღერეს და...

თავიდანვე შევთანხმდეთ და, ვფიქრობთ, ეს მარტო ჩვენი აზრი არ არის: სანახაობრივ ფეხბურთს არც „ლოკომოტივი" თამაშობს და არც „ზესტაფონი", მაგრამ კი იგებენ და ფინალსაც დამსახურებულად უწიეს.

მატჩიც, ფაქტობრივად, ერთნაირი ტაქტიკური სქემით 3-5-2-ით დაიწყეს, თუმც მცირე „ჩასწორებებით". მაგალითისთვის, რკინიგზელების შემტევი მიხეილ ბობოხიძე ოდნავ უკნიდან თამაშობდა. საწყისი წუთებიც პირობითად მასპინძლებისა იყო. დანამულ მოედანზე რკინიგზელები უფრო მსუბუქად გამოიყურებოდნენ, მეტს მოძრაობდნენ და ზესტაფონელებს ორჯერ დაემუქრნენ კიდეც.

სტუმრებმა კი თითქოს აღროვესო, ნელ-ნელა მარწუხებს მოუჭირეს, „ლოკომოტივიც" მოედნის საკუთარ ნახევარზე გამაგრდა. გამაგრდა და გამაგრდა...

„ზესტაფონს" მაინცდამაინც სახიფათო და თავისი ქომაგების ამაღელვებელი მომენტი ბევრიც არ გამოსვლია, გამოსულთაგან აღსანიშნი კი სევასტი თოდუას დარტყმული იყო — კარის სიახლოვიდან, თუმც ნამეტანი უზუსტო. აქვე დავძინოთ, რომ ნაწვიმარ გაზონზე ფეხის მოკიდება ფეხბურთელებს ძალიან უჭირდათ და წუნიც უამინდობას დავაბრალოთ.

შესვენების შემდეგ მატჩი ისევე გაგრძელდა, როგორიც იქამდე იყო. მეტოქეები ერთმანეთს უფრო და უფრო უფრთხოდნენ და საკუთარი კარის შენახვაზე გაცილებით მეტს ფიქრობდნენ. თუმც, ის იყო, „ზესტაფონმა" შეტევა დააპირა, რომ ლევან სანიკიძემ იყოჩაღა და ჩინებული პასი მისცა მიხეილ ბობოხიძეს. თბილისელთა მოავარმეკარემ ბურთი თითქოს დაკარგაო, მაგრამ „ზესტაფონის" მცველების შეუთანხმებლობით მაინც ისარგებლა და კარში გიორგი სომხიშვილს ზუსტად დაურტყა — 1:0.

სტუმართა მწვრთნელმა პირველი შეცვლა მაშინვე გააკეთა — საყრდენ ვალტერ გუჩუას შედარებით შემტევი მიხეილ ბესარაშვილი ამჯობინა. რა მოიტანა ამ შეცვლამ? მეორე გოლი „ზესტაფონის" კარში — დაახლოებით იმ პოზიციიდან, სადაც, წესით, მეტოქის დარტყმულისთვის სწორედ საყრდენს უნდა დაეფარა: „ზესტაფონის" საჯარიმოდან გამოვარდნილ ბურთს კი იქვე ნუკრი მანჩხავა დახვდა და მისთვის უჩვეული მარჯვენით შორეულ ცხრიანს დაუმიზნა — 2:0.

მატჩიც, ფაქტობრივად, ამ გოლმა დაამთავრა, თუმცა არბიტრის წამმზომზე ფინალის დამთავრებამდე დაახლოებით ნახევარი საათი კიდევ იყო. იყო, მაგრამ „ზესტაფონმა" ბევრიც ვერაფერი მოახერხა — სტუმრები უტევდნენ, თავს არზოგავდნენ, კამათობდნენ, ცდილობდნენ... „ლოკომოტივი" კი, ანგარიშის შესაბამისად, მშვიდად, აუღელვებლად იდგა თავის ნახევარზე და ბოლომდეც გაძლო.

ვის მოუტრიალდება ენა, „ლოკომოტივს" თასი არ ეკუთვნოდაო.

ეკუთვნოდა, მაგრამ პრესკონფერენციაზე...

### ისლანდია
პრემიერდივიზიონი
მესამე ტური
აკრანესი 3:2 გრინდავიკი
ფილკირი 1:2 ვალიური
ჰაფნარფიორდური 3:0 ვესტმანაეიარი
კეფლავიკი 2:1 რეიკიავიკი

### ბელგია
იუპილერლიგა
გადათამაშება
სტანდარდი 3:1 გენკი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
XXX ტური
ზალაეგერსეგი 2:1 დებრეცენი
დიოშდიორი 1:3 უიპეშტი
დიორ ეტო 3:0 ტატაბანია
ჰონვედი 0:1 ფერენცვაროში
კაპოშვარი 1:1 ნირედიჰაზა
პეჩი 5:0 ბეკეშჩაბა
მტკ 2:1 ვაშაში
ვიდეოტონი 1:1 შოპრონი

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა
XXXV ტური
ადმირა 1:1 ზალცბურგი
ბრეგენცი 0:1 გრაცერი
რაპიდი 0:1 აუსტრია
შტურმი 3:0 პაშინგი
ტიროლი 2:1 მატერსბურგი

### როიალ ლიგა
ფინალი
გიოტებორგი 1:1დ.დ. (პენ. 10:11) კოპენჰაგენი

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
ჩვენს ფოტორეპორტიორს
ბადრი კეთილაძეს დის
**მარინას**
გარდაცვალების გამო

ფეხბურთის კლუბი ამერი
თანაუგრძნობს კლუბის
ფოტოგრაფს ბადრი კეთილაძეს დის
**მარინას**
გარდაცვალების გამო

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80





*თემურ მახარაძე:* ვულოცავ ჩემ მეგობარ ნოდარ აკობიას ამ გამარჯვებას. წავაგეთ, მაგრამ ქვეყანა არ დაქცეულა. ორი-სამი თვის გუნდი ვართ და თასის ფინალამდე მივაღწიეთ, თან ღირსეულად ვითამაშეთ.

...ქართული ფეხბურთის საქმე ძალიან ცუდადაა. მერე იკითხავთ, რატომ აგებენ ევროთასზე გასული გუნდები დიდი ანგარიშითო. ასეთი მსაჯობის ფონზე კიდევ კარგადაა საქმე.

...გოლი რომ გავიტანეთ, მთავარმა მსაჯმა ჩათვალა და არცერთ ლოკომოტიველს არ გამოუთქვამს პროტესტი. ამ დროს კი გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

...ეს ფეხბურთია, კალათბურთი არ არის და პირველ გოლს ძალიან დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, თავად განსაჯეთ, რას ნიშნავდა იმ გოლის გაუქმება ჩვენთვის.

...არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ „ზესტაფონი" თამაშამდე ფავორიტი იყო და სწორედ ამან დაღუპა. როგორ შეიძლება ჩვენ ვყოფილიყავით ფავორიტი, როცა „ლოკომოტივმა" მიყოლებით დაამარცხა ყველა ქართული გუნდი?! ამ შეფასებას ვერანაირად ვერ გავიზიარებ.

...თამაშის შემდეგ ჩვენი პრეზიდენტი ილია კოკაია გასახდელში შემოვიდა, ბიჭებს თანაუგრძნო, გაამხნევა და თავდადებული ბრძოლისთვის მადლობა გადაუხადა.

*ნოდარ აკობია:* ვფიქრობ, მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ძალიან საჭირო დროს გავიტანეთ ორი გოლი და მოვიგეთ კიდეც. „ზესტაფონის" მცველებმა შეცდომები დაუშვეს და ამის გამო დაისაჯნენ. ვუთანაგრძნობ თემურ მახარაძეს, მაგრამ ფეხბურთში ასეა, ხან მოიგებ და ხან წააგებ.

...„ზესტაფონის" გოლის მომენტი ვერ დავინახე და კომენტარსაც ვერ გავაკეთებ. ალბათ კასეტაზე ყველაფერი ჩანს და ვისაც დააინტერესებს, ნახოს.




### ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# ლიკა საქართველოსთვის გაემზადა

**ალბანეთის** ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ჰასან ლიკამ ის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც 3 ივნისს საქართველოსთან, 7 ივნისს კი დანიასთან სათამაშოდ დარაზმავს. „პატარა ალბანელებიდან" სამი ლეგიონერია, რომელთა შორის იტალიური სერია C-ს „ტერამოს" ფორვარდი დენის ბოშნიაკუ გამოირჩევა. ბოშნიაკუმ თბილისში გაუტანა ქართველ ახალგაზრდებს, თუმცა, როგორც გახსოვთ, გოჩა ტყებუჩავას ბიჭებმა ის თამაში შოთა კაშიასა და ირაკლი მოდებაძის გოლებით 2:1 მოიგეს.

ალბანელი ახალგაზრდები 29 მაისს დაიწყებენ მზადებას. აქვე ჰასან ლიკას რჩეულ 23-ს გაგაცნობთ:

*მეკარეები:* ერალდ გიონდედა (ვენატია), ერვინ ლიანი (ლუშნია), გლენ ტაფაი (შკუმბინი);

*მცველები:* ალბან მუკა (ვენატია), რაჰმან ალაჩი (პარტიზანი), ანდი ლილა (ბესა), კლემენტ ხჩირა (შკემბინი), ერიონ დუშკუ (კასტრიოტი), ბლედონ გუგა (ფლამურტარი), ერვის კრაჯა (ვლაჯნია);

*ნახევარმცველები:* ჰეტლემ კაპჯა (ელბასანი), ბლედან ჰადო (ტეუტა), ბლედან ველიაი (ტომორი), რენატო არაპი (ვენატია), ვერგი მუზაკა (პარტიზანი), არიან პელუმბი (ერზენი), ემილიანო მარკა (კალამარია, საბერძნეთი), ჰამდი სალიჰი (ტირანა), ვანგიელ მილე (ლუშნია)

*თავდამსხმელები:* ბესნიკ ბეკა (იუნაიტედი, აშშ), დენის ბოშნიაკუ (ტერამო, იტალია), სოკოლ კოჩანი (ჰანოვერი, გერმანია), დანიელ ჰაჩიუ (ელბასანი)

ალბანელ 21-წლამდელებს ქართველების დარად 5 ქულა აქვთ, თუმცა „არწივებს" ერთი თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული.

**ილია ნანოგაშვილი**

# ელდირსა?
## ჟირესმა სტურუა დაინახა





**ცოტაც და,** ალენ ჟირესი საქართველოს ნაკრების შემადგენლობას გამოაცხადებს, მანამდე კი უკვე ისმის ვარაუდები ამა თუ იმ ფეხბურთელის გამოძახება-არგამოძახების შესახებ. სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, რომ ჟირესის სიაში მოხვდა თბილისის „ლოკომოტივის" მეკარე ზვიად სტურუა, ვინც ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ჩემპიონატის ახალი რეკორდი დაამყარა — 923 წუთი გოლი არ გაუშვა. ნაკრებში მოხვედრა მასზე ალალია და იმდენად არც გაგვკვირვებია, თუმცა ახალწვეულები სხვებიც იქნებიან — მუსიე ალენს ქუთაისის „ტორპედოს" მცველი დავით გამეზარდაშვილიც შეუგულებია. ალბანეთისწინა შეკრებაზე იქნება „ტორპედოს" მეკარე მირზა მერლანიც, რომელიც საბერძნეთ-თურქეთთან მატჩებისთვისაც იყო ნაკრებში გამოძახებული.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ნაკრებში ჩამოსვლის ოფიციალური მოწვევა უკვე მიიღეს მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა — მალხაზ ასათიანმა და მიხეილ აშვეთიამ.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ახალკაცი ლოკომოტივს წასვლაზე შეუთანხმდა

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" ქართველი თავდამსხმელი რომან ახალკაცი დიდი შანსია, საქართველოში დაბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, 24 წლის ფორვარდი უკვე ეძებს ახალ კლუბს და თუ სასურველ წინადადებას მიიღებს, სამშობლოში თამაშზეც არ იტყვის უარს.

შეგახსენებთ, რომ ახალკაცი „ლოკომოტივში" 2003 წელს გადავიდა ქუთაისის „ტორპედოდან", თუმცა ძირითადად გუნდში დამკვიდრება ვერ მოახერხა და ექვსი თვით კალინინგრადის „ბალტიკაში" გადავიდა. ამ სეზონის დასაწყისში ახალკაცი რკინიგზელთა სარეზერვო გუნდში კი დაბრუნდა, მაგრამ ოდენ ფორმის შესანარჩუნებლად. ორივე მხარის გადაწყვეტილებით, ქართველი თავდამსხმელი ახალ გუნდში გადავა და გამორიცხული არაა, ეს გუნდი ქუთაისის „ტორპედო" იყოს.

**ბაჩა შალამბერიძე**



# გვიდოლინი კაპელოა
## ძაული რომში მიდის

*იტალიურ „პალერმოს“ რომ მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. უკვე გამოკვეთილი კანდიდატებიც არსებობენ — ლუიჯი დელ ნერი და ზდენეკ ზემანი. არადა, სიცილიელთა ამჟამინდელ თავკაც ფრანჩესკო გვიდოლინის მუშაობას წარუმატებელს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. გარდა ამისა, სავარაუდოდ, გუნდს ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი, ლამბერტო ძაულიც დატოვებს. მისი გადაბირება დედაქალაქურ კლუბებს სწადიათ*



ფრანჩესკო გვიდოლინი

**ფრანჩესკო გვიდოლინიმ** გუნდი გასული წლის იანვარში ჩაიბარა და 30-წლიანი პაუზის შემდეგ „პალერმო“ სერია A-ში დააბრუნა. თანაც ისტორიულ შედეგს მიაღწია და სიცილიელებს უეფას თასის საგზური მოაპოვებინა. მიუხედავად ამისა, „პალერმოს“ ამბიციური პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინის მაინც მისი მოხსნა აქვს გადაწყვეტილი, რითაც „ბოლონიას“ ყოფილი თავკაცი ცოტა არ იყოს, განაწყენებულია.

ფრანჩესკო გვიდოლინი: „ამჟამად ჩემს თავს კაპელოს ვადარებ და ვამსგავსებ. ეს უკანასკნელი კი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. ვთვლი, რომ იმ რესურსით, რაც გუნდს ჰქონდა, მაქსიმუმს მივაღწიე. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ჯერ არაფერი არ გადამიწყვეტია. ბოლო კვირა ემოციებით იყო დატვირთული და წარმატებას ვზეიმობდით. მთელი სეზონის მანძილზე ძამპარინის განცხადებებს პრესის საშუალებით ვეცნობდი და ხშირად მიკვირდა კიდეც. ყოველთვის ვცდილობდი, საქმით მეპასუხა და მგონი, გამომდიოდა კიდეც. ვაღიარებ, რომ რამდენიმე შეცდომა დავუშვი, მაგრამ უმალვე გამოვასწორე. ასე თუ ისე, მაინც ყველაფრით კმაყოფილი ვარ, პალერმოში ვსეირნობ და აქაურ ბრწყინვალე ხალხთან ურთიერთობით ვტკბები. დანარჩენი კი მერე გამოჩნდება“.

აპენინური პრესის ცნობით, შესაძლოა, გვიდოლინისთან მუშაობა, რომელიმე რომაულმა კლუბმა ისურვოს, თუმც იქამდე დედაქალაქელები „პალერმოს“ თავდამსხმელ ლამბერტო ძაულის უტრიალებენ. იგი სიცილიელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს და მალე თავისუფალი აგენტი გახდება.

„თითქმის გადაწყვეტილია, რომ „პალერმოს“ დავტოვებ. როგორც გავიგე, ჩემით „რომა“ და „ლაციო“ არიან დაინტერესებულნი. დედაქალაქურ გუნდში თამაში კი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი სტიმულია და იმედია, ამ საქმიდან რამე გამოვა“ — აღნიშნა ძაულიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

## საბერძნეთი
### ეროვნული ლიგა
### XXX ტური

აეკ — კალამარია 3:0; იონიკოსი — ქსანთი 1:1; ირაკლისი — ოლიმპიაკოსი 0:1; კალითეა — არისი 3:1; კერკირა — ხალკიდონა 1:3; ოფი — პანათინაიკოსი 1:2; პანიონიოსი — ერგოტელისი 2:0; პაოკ — ეგალეო 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ოლიმპიაკოსი** | 30 | 19 | 8 | 3 | 54:18 | 65 |
| პანათინაიკოსი | 30 | 19 | 7 | 4 | 51:18 | 64 |
| აეკ | 30 | 17 | 11 | 2 | 46:22 | 62 |
| ქსანთი | 30 | 14 | 8 | 8 | 43:29 | 50 |
| პაოკ | 30 | 13 | 7 | 10 | 43:39 | 46 |
| ეგალეო | 30 | 11 | 12 | 7 | 31:26 | 45 |
| ირაკლისი | 29 | 11 | 5 | 13 | 34:30 | 38 |
| ხალკიდონა | 30 | 10 | 8 | 12 | 34:38 | 38 |
| კალითეა | 30 | 9 | 10 | 11 | 39:44 | 37 |
| იონიკოსი | 30 | 8 | 12 | 10 | 22:32 | 36 |
| პანიონიოსი | 30 | 8 | 11 | 11 | 25:32 | 35 |
| კალამარია | 30 | 8 | 9 | 13 | 31:49 | 33 |
| ოფი | 30 | 8 | 8 | 14 | 36:44 | 32 |
| არისი | 29 | 5 | 13 | 11 | 26:35 | 28 |
| ერგოტელისი | 30 | 5 | 5 | 20 | 19:50 | 20 |
| კერკირა | 30 | 3 | 8 | 19 | 21:49 | 17 |

## ფინეთი
### ვეიკაუსლიგა
### VI ტური

ლაჰტი 4:0 იარო

ტამპერე 1:0 ინტერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| ჰიკ | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| მარიეჰამნი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| ინტერი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:2 | 9 |
| ჰაკა | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 9 |
| კტპ | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 9 |
| ტურკუ | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| მიუპა | 5 | 1 | 3 | 1 | 6:4 | 6 |
| ალიანსი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| კუოპიო | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| ლაჰტი | 6 | 2 | 0 | 4 | 11:13 | 6 |
| ტპ 47 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:6 | 3 |
| იარო | 6 | 0 | 3 | 3 | 1:9 | 3 |
| როვანიემი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |

## პოლონეთი
### პირველი ლიგა
### XXIV ტური

გროცლინი — ლეხი 1:0; პოლონია — ლეგია 0:5; ვისლა — გურნიკი 2:1; კატოვიცე — ოდრა 1:1; ლეჩნა — ამიკა 1:0; პოგონი — ზაგლებე 1:1; პლოცკი — კრაკოვია 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვისლა** | 24 | 18 | 5 | 1 | 66:20 | 59 |
| გროცლინი | 24 | 16 | 2 | 6 | 46:25 | 50 |
| ლეგია | 24 | 12 | 7 | 5 | 40:19 | 43 |
| კრაკოვია | 24 | 11 | 4 | 9 | 31:24 | 37 |
| პლოცკი | 24 | 11 | 4 | 9 | 34:30 | 37 |
| ამიკა | 24 | 9 | 7 | 8 | 25:25 | 34 |
| ლეჩნა | 24 | 9 | 5 | 10 | 34:35 | 32 |
| გურნიკი | 24 | 7 | 7 | 10 | 27:28 | 28 |
| ლეხი | 24 | 8 | 4 | 12 | 29:39 | 28 |
| პოგონი | 24 | 6 | 10 | 8 | 28:38 | 28 |
| ზაგლებე | 24 | 6 | 9 | 9 | 29:38 | 27 |
| პოლონია | 24 | 7 | 5 | 12 | 26:50 | 26 |
| ოდრა | 24 | 6 | 4 | 14 | 24:37 | 22 |
| კატოვიცე | 24 | 3 | 5 | 16 | 23:54 | 14 |

## შვეიცარია
### სუპერლიგა
### გადადებული მატჩი

ქსამაქსი 1:2 გრასჰოპერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 33 | 20 | 7 | 6 | 79:45 | 67 |
| თუნი | 34 | 18 | 6 | 10 | 69:42 | 60 |
| გრასჰოპერი | 33 | 12 | 13 | 8 | 48:47 | 49 |
| იანგ ბოისი | 33 | 11 | 13 | 9 | 56:51 | 46 |
| ციურიხი | 33 | 12 | 9 | 12 | 53:57 | 45 |
| ქსამაქსი | 33 | 10 | 8 | 15 | 36:46 | 38 |
| სენტ გალენი | 33 | 8 | 11 | 14 | 48:57 | 35 |
| აარაუ | 33 | 7 | 11 | 15 | 42:62 | 32 |
| შაფჰაუზენი | 33 | 7 | 11 | 15 | 35:55 | 32 |

## ჩეხეთი
### გამბრინუსლიგა
### XXIX ტური

ბლშანი — ლიბერეცი 1:1; ბუდეიოვიცე — სიგმა 1:2; დრნოვიცე — ბრნო 1:3; იაბლონეცი — ბოლესლავი 2:0; ოპავა — პრჟიბრამი 0:2; სლავია — ზლინი 1:0; სლოვაცკო — სპარტა 2:0; ტეპლიცე — ბანიკი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სპარტა** | 29 | 20 | 4 | 5 | 52:26 | 64 |
| სლავია | 29 | 14 | 8 | 7 | 37:25 | 50 |
| ტეპლიცე | 29 | 13 | 11 | 5 | 34:26 | 50 |
| სიგმა | 29 | 14 | 6 | 9 | 35:33 | 48 |
| ლიბერეცი | 29 | 13 | 10 | 6 | 42:24 | 43 |
| იაბლონეცი | 29 | 11 | 9 | 9 | 31:26 | 42 |
| ბანიკი | 29 | 9 | 10 | 10 | 33:34 | 37 |
| დრნოვიცე | 29 | 9 | 8 | 12 | 29:30 | 35 |
| ბრნო | 29 | 9 | 6 | 14 | 29:40 | 33 |
| პრჟიბრამი | 29 | 8 | 8 | 13 | 28:40 | 32 |
| ბლშანი | 29 | 7 | 11 | 11 | 24:36 | 32 |
| სლოვაცკო | 29 | 10 | 13 | 6 | 30:21 | 31 |
| ბოლესლავი | 29 | 6 | 12 | 11 | 26:35 | 30 |
| ზლინი | 29 | 6 | 12 | 11 | 25:35 | 30 |
| ბუდეიოვიცე | 29 | 6 | 7 | 16 | 26:36 | 25 |
| ოპავა | 29 | 5 | 9 | 15 | 25:39 | 18 |

*ლიბერეცს“ და „ოპავას“ დაკლებული აქვთ 6-6 ქულა, „სლოვაცკოს“ — 12*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## ლიბერტადორესის თასი 2005
Copa Toyota Libertadores '2005

### მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

*სან პაულუ (ბრაზილია)* 2:0 *პალმეირასი (ბრაზილია)* (1:0)

*სანტოსი (ბრაზილია)* 3:0 *უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)* (1:2)

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „სიენას“ ვარსკვლავი როდრიგო ტადეი სავარაუდოდ, „რომაში“ გადავა. ბრაზილიელი ნახევარმცველით რამდენიმე გრანდია დაინტერესებული, მაგრამ, როგორც ამბობენ, დედაქალაქურმა კლუბმა უკვე შეძლო ფეხბურთელთან შეთანხმება და ტრანსფერი ოფიციალურად კვირის ბოლოს გახმაურდება. ამბობენ, ტადეი „რომასთან“ ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და სეზონში 600 ათას ევროს მიიღებსო.

**ინგლისური „ჩელსის“ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ განაცხადა, რომ გუნდის ახალგაზრდა ნახევარმცველი სკოტ პარკერი ლონდონელთა რიგებში დარჩება. შეგახსენებთ, რომ „ჩარლტონის“ ყოფილ ვარსკვლავს „ევერტონი“ უტრიალებს და დაახლოებით 10 მილიონი გირვანქის გადახდაზეცაა ყაბულს, თუმც „ჩელსის“ თავკაცმა სხვაგვარად გადაწყვიტა.**

**არგენტინელი** მცველი ნესტორ სენსინი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს. „უდინეზეს“ ფეხბურთელისთვის მომავალ უქმეებზე „მილანთან“ შეხვედრა სავარაუდოდ, უკანასკნელი იქნება. „ასეთ ასაკში მაღალ დონეზე თამაში ცოტა არ იყოს, ძნელია. „მილანთან“ მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და იმედია, წარმატებას მივაღწევთ. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ამის მერე მივიღებ“ — აღნიშნა 38 წლის სენსინიმ.

**იტალიური „კალიარის“ მწვრთნელმა დანიელე არიგონიმ განაცხადა, რომ გუნდის დატოვებას არ აპირებს. „არ მესმის, საიდან მოდის ეს ჭორები. არასდროს მითქვამს, რომ წასვლა მინდა და, ჩემი აზრით, ცუდი სეზონი არ გვქონია. თუმც ყველაფერი საბოლოოდ კლუბის პრეზიდენტთან მასიმო ჩელინოსთან შეხვედრის შემდეგ გაირკვევა“ — თქვა არიგონიმ.**

**შოტლანდიური** „სელტიკი“ უკვე ოფიციალურად ჩააბარეს გორდონ სტრაჩანს, მაგრამ კონტრაქტი ძალაში იმ კვირიდან შევა. ბრიტანული პრესის ცნობით, მხარეებმა ერთწლიანი შეთანხმება გააფორმეს, გახანგრძლივების პერსპექტივით. შეგახსენებთ, რომ სტრაჩანი აქამდე „ქოვენთრისა“ და „საუთჰემპტონს“ წვრთნიდა.

**თურქული „ფენერბაჩეს“ ფრანგმა ფორვარდმა ნიკოლა ანელკამ „ლივერპულში“ დაბრუნების სურვილი გამოთქვა. „იმ წელიწადნახევრის მანძილზე, რომელიც „ლივერპულში“ გავატარე, ეს გუნდი ძალიან შემიყვარდა და გულწრფელად ვულოცავ ლიგის მოგებას. გასულ ზამთარს კვლავ მერსისაიდელთა რიგებში ჩარიცხვას ვაპირებდი, მაგრამ მათ ფერნანდო მორიენტესის შეძენა არჩიეს. თუმც „ენფილდზე“ დაბრუნების იმედი ჯერ კიდევ არ დამიკარგავს“ — აღნიშნა 25 წლის თავდამსხმელმა.**

**იტალიური** „ლაციოს“ ნახევარმცველ ჯულიანო ჯანიკედას აგენტმა ფრანკო ძაგალიამ აღნიშნა, რომ მისი კლიენტის მომავალი ჯერ ისევ ბუნდოვანია. „თითქმის გადაწყვეტილია, რომ ჯულიანო „სტადიო ოლიმპიკოს“ დატოვებს, მაგრამ ბოლომდე არაფერს გამოვრიცხავ. როგორც იცით, მისით „ინტერი“ და „იუვენტუსი“ არიან დაინტერესებულნი. ყველაფერი ალბათ მომავალ 10 დღეში გადაწყდება“ — თქვა ძაგალიამ.

**ბელგიური „ბრიუგეს“ ჩეხი ვარსკვლავი დავიდ როზენალი შესაძლოა, პსჟ-ში აღმოჩნდეს. 24 წლის მცველს ბევრი მსურველი ჰყავს, მაგრამ მის აგენტ პაველ ზიკას თქმით, მიზანთან ყველაზე ახლოს ფრანგები არიან.**

**ესპანურმა** „ბარსელონამ“ მარკ ვან ბომელის შემდეგ სანტიაგო ესკეროც დაიმატა. 28 წლის ნახევარმცველს „ბილბაოსთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და კატალონიელთა რიგებში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. როგორც ამბობენ, მხარეები სამწლიან კონტრაქტს მალე გააფორმებენ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

**ინგლისური „ლივერპულის“ გერმანელი ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი სამშობლოში დაბრუნებას და „ჰამბურგში“ ჩარიცხვას აპირებს. თუმც 31 წლის ვეტერანს ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ კომენტარი აღარ გაუკეთებია.**

**იტალიური** „იუვენტუსის“ გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისი გუნდი ალბერტო ჯილარდინოს ან ანტონიო კასანოს ყიდვას არ აპირებს. „ჩვენ უკვე გვყავს მაღალი დონის ფორვარდები — დავიდ ტრეზეგე, მინდორს უბრუნდება ადრიან მუტუ, კარგად თამაშობს მარსელო ზალაიეტა. ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ დელ პიეროს ვყიდით, ჩემპიონები არ იყიდებიან. ალექსი გუნდის სიმბოლოა. რაც შეეხება ზლატან იბრაჰიმოვიჩს და „რეალის“ მისდამი ინტერესს, შემიძლია, გითხრათ, რომ „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესთან პატარა შეთანხმება მაქვს — იგი ჩვენ არ გვაწუხებს, ჩვენ მას“ — განაცხადა მოჯიმ.

**ესპანური „ბეტისის“ მწვრთნელმა ლორენს სერა ფერერმა გუნდთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. მხარეები არ გამორიცხავენ, რომ მომავალი სეზონის განმავლობაში უფრო ხანგრძლივ შეთანხმებას მოაწერონ ხელი.**

**გერმანული** „ლევერკუზენის“ ნახევარმცველი დანიელ ბიროფკა „შტუტგარტში“ გადადის. მხარეებმა უკვე ყველა დეტალი შეათანხმეს და ტრანსფერი ოფიციალურად უახლოეს დღეებში გაფორმდება. „ლევერკუზენში“ კარგი დრო გავატარე, მაგრამ გასული სეზონი აშკარად ჩავაგდე. ვფიქრობ, საკმაოდ ამბიციურ „შტუტგარტში“ გადასვლა ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯია“ — თქვა „მიუნხენის“ ყოფილმა ფეხბურთელმა.






გიო ახვლედიანი
სტამბოლიდან



AFP სტამბოლიდან

# ძველ ადგილას

რაც იყო, იყო... რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით, რომ შევჩენკო ბევრად სჯობია მილან ბაროშს. ანდა მილან ბაროშს და ჯიბრილ სისეს ერთად. ხოლო კრესპო და შევჩენკო უკეთესია, ვიდრე ბაროში, სისე და კიდევ... მოკლედ, ფეხბურთი იმიტომ არის ჯადოსნური თამაში, რომ ვინ ვის სჯობს, ვინ ვარსკვლავია და ვინ კიდევ უბრალოდ კარგი მოთამაშე, დაგავიწყდება და უბრალოდ, ფეხბურთს უყურებ.

საერთოდ კი, ოთხშაბათ ღამით, როცა ანგარიში 2:3 გახდა, ერთ რამეს მივხვდი: მივხვდი რა, ეგებ არც არის სწორი, მაგრამ მივხვდი, რომ არიან გუნდები, რომელთა ცქერაც ტელევიზორშიც საკმარისია. ანუ, ეგებ ეს სულაც დიდებული გუნდია, თავის ვარსკვლავებით და ტაქტიკა-სტრატეგიებით, მაგრამ სულ ერთია, მას სად უყურებ. უფრო სწორად, ტელევიზორშიც საკმარისია, რადგან აღმოაჩენ, რომ ტელევიზორშიც და სტადიონზეც ეს გუნდი აბსოლუტურად ერთნაირია. ალბათ, კარგი და დიდებული, მაგრამ სატელევიზორო.

ჰოდა, „ლივერპული" არ არის ასეთი გუნდი.

„ლივერპულში" სწორედ ის ძევს, რატომაც შეიქნა ფეხბურთი მილიონების საყვარელი თამაში.

ამიტომ, რომ ვისაც „ლივერპული" და მისი გულშემატკივრები არ უნახავს სტადიონზე, იმას ერთი ძალიან გემრიელი, გასაგიჟებელი რამ ჰკლებია ცხოვრებაში.

ვისაც ეს სიმღერა არ მოუსმენია და ვინაც არ დაკვირვებია, როგორ ეხმარება ტრიბუნების რეაქცია საყვარელი გუნდის თამაშს, ხოლო გუნდი როგორ გრძნობს ტრიბუნების ძალას, იმას უბრალოდ ვუსურვებ, რომ ოდესმე ნახოს, მოისმინოს და შეიგრძნოს ისეთი რამ, რაც ოთხშაბათს ღამით ამ წარმოუდგენელმა ერთობამ მოახერხა ოლიმპიურ სტადიონზე.

შეგიძლია თვალები დახუჭო და უსმინო კოპის ფანებს: აუცილებლად მიხვდები, რა ხდება მოედანზე. რეაქციები სრულიად ბუნებრივი და გულიდან ამოხეთქილია.

თქვენ რა გგონიათ, რატომ ააცილა სერჟინიომ პირველი პენალტი? მარტო იმიტომ, რომ დუდეკმა გრობელაარულ ფანდებს მიმართა? მე ასეთი ხმაური, ასეთი გრგვინვა, ასეთი ბუნებრივი სტიქიის ხმა საერთოდ არსად გამიგონია. ინგლისის თამაშებზეც ვყოფილვარ ევროპის ჩემპიონატზე, ფრანგების წინააღმდეგ და სხვაგანაც.

ასეთი ხმა არ არსებობს. უფრო სწორად, სხვაგან არ არსებობს, ეს მხოლოდ „ენფილდიდან" მოდის.

„მილანს" რომ მეტი უნდა გაეტანა, ანჩელოტიმ რომ თქვა, ჩემი ბრალია ყველაფერიო და საერთოდაც, „მილანი" რომ ფავორიტი იყო და ფავორიტულადაც გააკეთა თამაში, სულ სხვა ამბავია. ის, რომ ახლა, ალბათ, გაუთავებლად იდავებენ (განსაკუთრებით თბილისში), რომ შევჩენკოს გოლი იყო, რომ პენალტი არ იყო და ასე დაუსრულებლად, ასევე სულ სხვა ამბავია. ხოლო ის, რაც მეორე ტაიმის 7-8 წუთში მოახდინა „ლივერპულმა", კიდევ სულ სხვაა.

ეს ისტორია და ამ წუთების შეგრძნება გვარიანად სცდება ფეხბურთს და მივყავართ ცხოვრებაში, ისტორიაში, ადამიანების ხასიათში... ათას ადგილას. თორემ ის, რომ რაფა ნამდვილად დიდი მწვრთნელია და სამი მცველით გამოვიდა მეორე ტაიმში, ხოლო სტივ ჯერარდმა რომ, როგორც ძველები იტყოდნენ, „დახურა ფუტბოლი", ყველამ დავინახეთ.

ეს, სწორედ ეს იყო, ფეხბურთის მამოძრავებელ ძალას რომ წარმოადგენს.

ფილოსოფოსობა გამიჭირდება, მაგრამ ასეთი ფინალი არ ყოფილა თვით 1999 წელსაც.

ამ ხალხს ეკუთვნოდა ეს თასი, იმიტომ რომ ასე ერთად არიან და ასე შეუძლიათ ერთად სიარული ჯოჯოხეთში. ჯოჯოხეთი იყო, აბა რა, იყო?! მეორე ტაიმის დასაწყისში შევჩენკო რომ ჯარიმას ურტყამდა, გავიფიქრე, ესეც თუ გაიტანეს და ამ თამაშის ყურება საშინელება იქნება, ავდგები და პრესცენტრში ჩავალ-მეთქი. ძალიან ძნელი იყო ამ ხალხის ყურება შენ გარშემო. საერთოდ, რაც ტრიბუნებზე შესვენებაზე ხდებოდა, იმას განწირულის სულისკვეთების მეტს ვერაფერს დაარქმევ. მოთქმა, ტირილი და თან გრგვინვა.

ის ჯარიმა კი დუდეკმა აულო შევჩენკოს. აულო და, თურმე აქედან დაიწყო...

„მილანის" ტიფოზები არ მიხსენებია. ძალიან ლამაზად ეჭირათ თეთრი ტრიბუნა და ქომაგობდნენ თავზეხელაღებით და სამფეროვნად, ორგანიზებულად, გულით და საერთოდ როგორც ქომაგობენ ხოლმე საყვარელ გუნდებს. ბილეთები ტოლად იყო განაწილებული, 20-20 ათასი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ლივერპულელები ექვს-შვიდჯერ მეტი იყვნენ. არ დაინანეს, იწვალეს, გადაიხადეს, იშოვნეს, აიყარნენ. საერთოდ, ინგლისელებსა და სხვა ქვეყნის გულშემატკივრებს შორის სხვაობაც ეს არის.

თასი კი ძველ ადგილას ბრუნდება.

**YOU'LL NEVER WALK ALONE!!!**

ესეც, მგონი, იმას ნიშნავს, რაზეც ახლა ვლაპარაკობდი.

გამთენიისას, სტადიონიდან რომ მოვდიოდი, ტაქსისტმა თქვა:

— ტაქსიმში მთელი დღე იტალიელები ყვიროდნენ... ახლა...

და ტუჩებზე მიიდო თითი.

ქალაქის შორ გზას კი იმ უკაცრიელ ტრასაზე ადგნენ წითლებში ჩაცმული ბიჭები და გოგოები. ეს ის ხალხი იყო, ვინც ტურისტული ავტობუსებით და წინასწარ დაკვეთილი ბილეთებით არ მოსულა ოლიმპიურ სტადიონზე და, შესაბამისად, ვერც ვერაფრით წავიდა აქედან თავისი ფეხებს გარდა. სწორედ ესენი გრგვინავდნენ იქ, შიგნით, ახლა კი მიდიოდნენ გახარებულები და მართლა ძალიან ბევრი უნდა ევლოთ, რათა მისულიყვნენ იქ, სადაც უნდა მისულიყვნენ.

ალბათ, მათი გუნდიც ასე იყო. ძალიან ბევრი უნდა ევლო. ჰოდა, იარა...



AFP სტამბოლიდან

Istanbul
The Final 2005

UEFA CHAMPIONS LEAGUE

FAN OF THE YEAR presented by AMSTEL BEER

AFP სტამბოლიდან



# მოგვეცით მეხუთე მეხუთეს შემდეგ
## პლატინიმ ბოდიში მოიხადა

**უეფას** ახალი წესის თანახმად, ჩემპიონთა თასის მფლობელს ჩემპიონთა ლიგის მომდევნო სეზონის გათამაშებაში ადგილი ავტომატურად არ ეკუთვნის. ეს იმას ნიშნავს, რომ პრემიერლიგაში მეხუთე ადგილზე გასული „ლივერპული“ უეფას თასზე ითამაშებს.

აქ შეგვიძლია, გავიხსენოთ ოთხი წლის წინანდელი ამბავი. 1999-2000 წლების სეზონში ესპანურ პრემერადივიზიონში მადრიდის „რეალი“ მეხუთე ადგილზე გავიდა (მეოთხე „სარაგოსა“ იყო) და თან ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. წესით, „რეალს“ უეფას თასზე უნდა ეთამაშა, მაგრამ „სამეფო კლუბმა“ „სარაგოსას“ ადგილი გაუცვალა და 2000-2001-ში კვლავ ჩემპიონთა ლიგაში შეძვრა.

პრემიერლიგის ბოლო რამდენიმე ტურში გამოჩნდა, რომ „ლივერპული“ მეოთხე ადგილზე მყოფ თანაქალაქელ „ევერტონს“ ვეღარ დაეწეოდა და ინგლისში ატყდა რია-რია — „ლივერპულმა“ ჩემპიონთა თასი თუ მოიგო, უეფამ ინგლისელებს ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ვიზაც უნდა მისცესო.

დაახლოებით ერთი თვის წინ უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა, ამ საკითხს ივნისში, მანჩესტერში დაგეგმილ შეხვედრაზე განვიხილავთო. იუჰანსონის აზრით, წესი შესაცვლელია და თასის მფლობელს მომდევნო სეზონის ლიგის გათამაშებაში ადგილი ავტომატურად ეკუთვნის. ეს პრეზიდენტის აზრია, მაგრამ მარტო ის ერთპიროვნულად ვერ გადაწყვეტს.

მედლის მეორე მხარეც ვნახოთ — დევიდ მოიესის „ევერტონმა“ პრემიერლიგაში მეოთხე ადგილის დასაკავებლად ცხრაპირი ოფლი მოიღვინა და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. მოიესმა თქვა: „ლივერპული“ დიდი გუნდია და მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ ადგილს თუ მისცემენ, მთლად სამართლიანი გადაწყვეტილება არ იქნება“.

უეფას პრესმდივანმა უილიამ გალიარდმა გუშინ განაცხადა: „უეფა წესის შეცვლას არ აპირებს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ უკვე გვაცნობა, რომ პრემიერლიგიდან ჩემპიონთა ლიგაში ოთხი გუნდი ითამაშებს: „ჩელსი“, „არსენალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ევერტონი“.

გალიარდმა „რეალისა“ და „სარაგოსას“ ოთხი წლის წინანდელი ამბავიც განმარტა: „მაშინ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გვთხოვა, მეოთხე ადგილზე გასული „სარაგოსას“ ნაცვლად ჩემპიონთა ლიგაში მეხუთეადგილოსანი მადრიდის „რეალი“ დაგვეშვა. მართალია, იმ წელს „რეალი“ ჩემპიონთა თასის მფლობელი გახლდათ, მაგრამ ადგილი ამის გამო არ მიგვიცია. ესპანეთს ოთხი გუნდი წარმოადგენდა და ახლაც „ლივერპულის“ საკითხი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გადასაწყვეტია“.

ლივერპულელთა აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ პერიმ განაცხადა: „ეს ჩვენი მეხუთე ჩემპიონთა თასია და მომდევნო წელს ისევ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მის შესანარჩუნებლად. უეფასთან მეხუთე ადგილის დაშვების თაობაზე არ მისაუბრია, მაგრამ ფეხბურთის ნებისმიერი გულშემატკივარი ისურვებდა ჩემპიონთა ლიგაში იმ გუნდის ხილვას, რომელმაც მსოფლიოს დაუვიწყარი ფინალი აჩუქა. საწყაულია ის, რაც რაფაელ ბენიტესმა გააკეთა. ვიცოდი, რომ დიდი მწვრთნელია და შარშან სწორედ ამიტომ გადმოვიყვანეთ“.

„ლივერპულის“ თავმჯდომარე დევიდ მურზი: „ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე მაშინ იყო, როცა დავქორწინდი, მაგრამ დღეს არანაკლები ბედნიერი ვარ. პენალტების შემდეგ თავი სიზმარში მეგონა. შესვენებისას მიშელ პლატინი მოვიდა და მითხრა, თქვენი გუნდის მწვრთნელმა ცუდი მუშაობისთვის ზარალი უნდა აანაზღაუროსო. პლატინიმ მატჩის დასრულებისთანავე მომიბოდიშა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

სტამბოლი. „ათათურქი“. 80 597 მაყურებელი

### მილანი 3:3დ.დ. (პენ.2:3, 3:3) ლივერპული

1:0 მალდინი (1), 2:0, 3:0 კრესპო (39, 44),
3:1 ჯერარდი (54), 3:2 შმიცერი (56), 3:3 ხაბი ალონსო (60)

*ხაბი ალონსომ ვერ გაიტანა პენალტი (60, მეკარე)*

პენალტები: 0:0 სერჟინიო (ააცილა), 0:1 ჰამანი, 0:1 პირლო (მეკარე), 0:2 სისე, 1:2 ტომასონი, 1:2 რიისე (მეკარე), 2:2 კაკა, 2:3 შმიცერი, 2:3 შევჩენკო (მეკარე)

**მილანი:** 1 დიდა; 2 კაფუ, 13 ნესტა, 31 სტამი, 3 მალდინი; 21 პირლო, 8 გატუზო, 20 ზეედორფი, 22 კაკა; 7 შევჩენკო, 11 კრესპო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

შეცვლა: კრესპო — 15 ტომასონი (85), ზეედორფი — 27 სერჟინიო (86) გატუზო — 10 რუი კოშტა (112)

**ლივერპული:** 1 დუდეკი; 3 ფინანი, 23 კარაგერი, 4 ჰიიპია, 21 ტრაორე; 8 ჯერარდი, 14 ხაბი ალონსო, 10 ლუის გარსია, 6 რიისე, 7 კიუელი; 5 ბაროში

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

შეცვლა: კიუელი — 11 შმიცერი (23), ფინანი — 16 ჰამანი (46), ბაროში — 9 ჯ. სისე (85)

გაფრთხილება: კარაგერი (76), ბაროში (81)
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

ჯარიმა: 16-23; კუთხური: 10-4; კარისკენ დარტყმა: 8-7; კარში დარტყმა: 10-7; თამაშგარე: 7-5




# მატჩის შემდეგ





AFP სტამბოლიდან

ირჟი დუდეკმა ბრიუს გრობელაარივით კარის ხაზზე იცეკვა, იხტუნავა და... „მილანის“ შტატიანი პენალტისტები გაამწარა

## რეზინის ფეხები 2

**გაირკვა,** რომ „ლივერპულის“ გმირს, მილანელთა პენალტების მომგერიებელ პოლონელ მეკარეს ირჟი დუდეკს, კარის ხაზის ცეკვა, რომელიც ოთხშაბათს ღამით მთელმა მსოფლიომ იხილა და ამიტომ მასზე დაწვრილებით აღარ შევაჩერებთ სიტყვას, ბრიუს გრობელაარის ამბავმა შთააგონა. ბრიუს გრობელაარი კი მოგეხსენებათ, გახლდათ „ლივერპულის“ ის ზიმბაბველი გოლკიპერი, რომელმაც 1984 წელს, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომასთან“ ჩემპიონთა თასის (მაშინ ჯერ ლიგა არ იყო) ფინალში ზუსტად ასეთი პირუეტები აკეთა და მერსისაიდელებს აწ უკვე ბოლოსწინა გამარჯვება მოუტანა. საინტერესოა, რომ გრობელაარის დარად, დუდეკმაც ორ მოწინააღმდეგეს აურია ხაზურიცეკვით თავგზა. 21 წლის წინ თავგზააბნეულნი დარჩნენ ბრუნო კონტი, „რომას“ დღევანდელი მწვრთნელი და ფრანჩესკო გრაციანი, კონტისთან ერთად 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო ოთხშაბათს პენალტები ვერ გაიტანეს ანდრეა პირლომ და ანდრეი შევჩენკომ.

„პენალტების წინ ჩემთან ჯეიმი კარაგერი მოვიდა და მკითხა: გახსოვს ბრიუს გრობელაარი და მისი რეზინის ფეხები? ცხადია, მახსოვდა. იგივე გააკეთე, მირჩია კარაგერმა, მეც დავუჯერე და, როგორც ნახეთ, გაამართლა. ხომ იცით, პენალტები ნამდვილი ლატარეაა, წინასწარ ვერასდროს მიხვდები, რა მოხდება. ჩვენ მილანელების პენალტები კარგად გვქონდა გარჩეული, ვიდეოზე ბევრჯერ მქონდა ნანახი, როგორ არტყამენ ისინი თერთმეტი მეტრიდან, მაგრამ ყოველ ეპიზოდში, როდესაც მომზადების შესაბამისად მარჯვნივ უნდა გადავმხტარიყავი, მარცხნივ გადავხტი. იდეა კი ასეთი მქონდა: შეძლებისდაგვარად ბოლო წამამდე უნდა მომეცადა, ბოლოწამს კი ტანში გავშლილიყავი და მენახა, რას გააკეთებდა ამის მერე მეტოქე.“

საინტერესოა, რომ ირჟი დუდეკმა ეს ტრიუმფი ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი პაპის, იოანე პავლე მეორეს ხსოვნას მიუძღვნა.

„მისი გარდაცვალების მერე მოწოლებას ვგრძნობდი, რასაც ვერანაირად ვერ ალგიწერთ. მე პაპს შეცხვედრილვარ და მინდა გითხრათ, რომ ამ შეხვედრამ ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი ნებისმიერი პოლონელის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა და წარმოუდგენლად მეწყინება, რომ აღხელა წარმატების მისი გარდაცვალების წლისთავს მივაძღვნე.“

დუდეკს ისე ვინ გაუშვებდა პრესკონფერენციიდან, დამატებითი დროის ბოლო წუთზე ანდრეი შევჩენკოს ორი დარტყმის სასწაულებრივი მოგერიება რომ არ გაეხსენებინათ და არ ეკითხათ, როგორ მოახერხა ეს.

„თავით დარტყმული რომ მოვიგერიე, დავინახე რომ კიდევ მოიწია ახლოს მყოფ ბურთზე დასამატებლად და ვცადე შეძლებისდაგვარად მალე ამოვზრდილიყავი. თუმცა, როგორ მოვახერხე ეს, ჩემთვისაც საიდუმლოა“.

**პაპუნა ქედია**



AFP სტამბოლიდან

## სად უნდა წავიდე?!

**სტივენ ჯერარდის** ლონდონის „ჩელსიში“ შესაძლო გადასვლაზე თვეების განმავლობაში ლაპარაკობდნენ. ზღაპრული ფინალის შემდეგ კი „ლივერპულის“ კაპიტანმა თქვა: „ასეთი მატჩი მერე სად უნდა წავიდე? ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი საღამოა. ამ სეზონში მთლად კარგ ფორმაში ვერ ვიყავი, მაგრამ მალე თქვენ სულ სხვა ჯერარდს ნახავთ. პირველ ტაიმში უკლასო გუნდს ვგავდით. „მილანი“ ვითარებას სრულიად აკონტროლებდა, ჩვენ კი შესვენებაზე თავჩაქინდრულები გავედით, მაგრამ რაფაელ ბენიტესმა ცვლილებები გააკეთა და რწმენა დაგვიბრუნა. მეორე ტაიმში ფანების მხარდაჭერით შეგულიანებულებმა ფანტასტიკურად ვითამაშეთ. ამ გამარჯვებას მათ ვუძღვნით. იმედი მაქვს, რომ უეფა მომდევნო სეზონში ლიგაში თამაშის უფლებას მოგვცემს. ამ ტურნირს ჩემპიონთა ლიგა ჰქვია და ჩემპიონებმა უნდა ითამაშონ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## დიეგოს არასდროს შენახავს

**„ათათურქზე“** გამართულ სრულიად ფანტასტიკურ ფინალს დიეგო მარადონაც რომ ესწრებოდა, საყოველთაოდ გახლავთ ცნობილი. მან მატჩის შემდეგ მომხდარს ასეთი შეფასება მისცა:

— 1970 წლის ბრაზილიის ნაკრებიც კი ვერ შეძლებდა „მილანთან“ 0:3 ჩამორჩენის გამოსწორებას. მე, იმედგაცრუებული დავრჩი, როგორც დარჩებოდა ნებისმიერი იტალიაში ნაცხოვრები და ნათამაშევი ადამიანი. 3:0-ის შემდეგ მილანელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თამაში მათი გამარჯვებით დამთავრდებოდა, მაგრამ ხომ ხედავთ, რაც მოხდა. თან, „მილანს“ თამაში ერთი წამით არ შეუწყვეტია და ანდრეი შევჩენკოს ბოლო წამზედაც კი შეეძლო გოლის გატანა.

თამაშების შემობრუნებების მეტი რა მინახავს, მაგრამ ასეთი უპირატეს გუნდთან, როგორიც „მილანი“ იყო, არასდროს.



AFP სტამბოლიდან

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# Istanbul
The Final 2005

FAN OF THE YEAR presented by AMSTEL BEER

## მატჩის შემდეგ



AFP სტამბოლიდან

ანდრეი შევჩენკოს მდგომარეობაში ყოფნას, რა თქმა უნდა, არავინ ინატრებდა

# სიგიჟის ექვსი წუთი

*„მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ* მისთვის და მისი გუნდისთვის ფინალის ასე საბედისწეროდ შემოტრიალება იმ ექვსწუთიან საშინელ მონაკვეთს დაუკავშირა, როდესაც „ლივერპულმა" სამი გოლი გაუტანა და თითქოსდა გამანადგურებელი ანგარიში 0:3 3:3-ად გადაუქცია.

„ჩვენ სრული სიგიჟის ექვსი წუთი დაგვატყდა თავს და ამ ექვსი წუთის განმავლობაში ხელიდან გავუშვით ის უპირატესობა, რომელიც მანამდე მოვიპოვეთ — განაცხადა ანჩელოტიმ — ამასთან მინდა გითხრათ, რომ ძლიერად ვიბრძოდით და მთელი 120 წუთის განმავლობაში კარგადაც ვთამაშობდით. ასე რომ, რაც მოხდა, აუხსნელია. ერთი სიტყვით, მოხდა ის, რაც მოხდა და, ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, ასე უნდა განვაგრძოთ ცხოვრება. ვიმეორებ, მგონი „მილანმა" ზღაპრული ფინალი ითამაშა, წავაგეთ, მიუხედავად იმისა, რომ წაგებას არ ვიმსახურებდით და იძულებულნი ვართ ამ ფაქტს შევეგუოთ. ასეთ დამარცხებას ღირსეული ეწოდება და ჩემმა ფეხბურთელებმა თავიანთი თავით და ამ მატჩით უნდა იამაყონ. ახლა სეზონის ბოლო მატჩილა დაგვრჩა და მერე მომავალზე უნდა დავიწყოთ ფიქრი."

სტამბოლში წაგებამ მილანელები მიმდინარე სეზონში ორი მცირე ჯილდოს, სერია A-ს მეორე ადგილისა და ლიგის ფინალისტობის ამარა დატოვა. მიუხედავად ამისა, *კლუბის ვიცე-პრეზიდენტის, ადრიანო გალიანის* განცხადებით იგი განვლილი სეზონით კმაყოფილია.

„მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩვენს ჩემპიონატში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში მეორე ადგილზე გავედით, ამას უბედურებად არ აღვიქვამ. იმ გიჟურ, სამგოლიან, ექვსწუთიან მონაკვეთს თუ არ ჩავთვლით, დღეს მე დიადი „მილანი" ვიხილე. დამატებით დროში ჩვენც და „ლივერპულიც" მოსაგებად ვიბრძოდით. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ არ გაგვიმართლა, მითუმეტეს, რომ ჩვენ არ ჩაგვითვალეს ანდრეი შევჩენკოს გოლი, რომელიც წესების სრული დაცვით გავიდა."

*„შავ-წითლების" კაპიტანი პაოლო მალდინი:* „საშინლად იმედგაცრუებული გახლავართ და მაინც, თუ დამარცხებაა, ასეთი მირჩევნია. ჩვენ დღეს დიდებული ფეხბურთი ვაჩვენეთ და 120 წუთიდან მხოლოდ ათი ჩაგვივარდა. დიახ, ჩვენ პატარა მონაკვეთის გამო დავისაჯეთ. ამ მონაკვეთმა თამაშის ფსიქოლოგიური გარემო შეცვალა, მერე ამას რაღაც-რაღაც დამთხვევებიც დაემატა, მეტოქემ მეორე ცდიდანვე გაიტანა მეორე გოლი და ყოველგვარმა სირთულემ ერთად მოიყარა თავი. მოკლედ, ისე წავაგეთ, რომ მომხდართან შეგუება მართლა ძალიან ძნელია. მესმის, რომ სფერო, რომელშიც ჩვენ ვმოღვაწეობთ, მხოლოდ და მხოლოდ სპორტია, ხოლო სპორტში მარცხი შედარებით უმტკივნეულოა, მაგრამ გარწმუნებთ, დღევანდელი საღამო სიცოცხლის ბოლომდე დამამახსოვრდება. ჩემი გოლი? იცით, მან სამწუხაროდ თასი ვერ მოგვაგებინა და ამიტომ უსარგებლო ყოფილა".

*ანდრეი შევჩენკო:* „პირველი ტაიმი სხვა თამაშისა იყო, მეორე კი სხვისა. ერთი სიტყვით, დღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა, თუ რა ვიწრო ხაზი ჰყოფს გამარჯვებასა და დამარცხებას. შესვენებისას ერთმანეთს ვუთხარით, რომ მეორე ტაიმში ძლიერად თამაში გვმართებდა მაგრამ გამოვედით მოედანზე და იქ დაგვხვდა გუნდი, რომელმაც ექვს წუთში სამი გოლი გაიტანა, ხოლო, როდესაც გუნდს ფინალში, ექვს წუთში სამი გოლი გააქვს, იგი გამარჯვების ღირსია. ახლა, ერთადერთი რაც დაგვრჩენია, მარცხის გადაყლაპვაა, შემდეგ კი მომავალი სეზონისთვის საბრძოლო განწყობით უნდა დავიწყოთ მზადება. ჩემი მომენტი, რომელიც ბოლო წუთზე მომეცა? მე ვცადე სწრაფად და ღონივრად დამერტყა, დანარჩენი კი დუდეკს ჰკითხეთ... თუმცა, ალბათ ისიც ვერ გიპასუხებთ, რატომ არ შევიდა ბურთი კარში. რას იზამ, ეს ფეხბურთია."

*ერნან კრესპო:* „რაც მოხდა, მეტისმეტი იყო. ძალიან ძნელია მომხდარის აღიარება, მაგრამ ფაქტია — ასეთია ფეხბურთი. არადა, ზღაპარში ვიყავი, 3:0-ს ვიგებდით და სამიდან ორი ჩემი გატანილი იყო... არა, ეს ისეთი სასწაული იყო, რომ სინამდვილეში ვერ იქცეოდა. ვერ ვხვდები როგორ მოხდა ის, რაც მოხდა, მიზეზი ვერ მიპოვნია."

**ბაბუნა ბედია**



AFP სტამბოლიდან

პაოლო მალდინიმ ჩემპიონთა თასი მეშვიდედ ვერ აწია

# ორი სიტყვა ფეხბურთის რაფაზე

„ლივერპულმა" გმირობა ჩაიდინა და ზღაპრული მატჩი მოიგო...

ირჟი დუდეკმა ბრწყინვალედ ითამაშა და ბოლოს პენალტების სერიაში მოაგებინა კიდეც მერსისაიდელებს...

სტივენ ჯერარდმა დაამტკიცა, რომ არა მხოლოდ დიადი გუნდის დიდი ნახევარმცველია, არამედ დიადი გუნდის დიდი კაპიტანიც გახლავთ...

კი, მაგრამ, რაფა ბენიტესი? ნუთუ ლივერპულელთა მწვრთნელის დამსახურება სხვებისაზე ნაკლებია?

როგორც ინგლისური გაზეთ „გარდიანის" ფურცლებიდან წარსულში ცნობილი ვარსკვლავი გორდონ სტრაჩანი გვეუბნება, რომ არა ბენიტესის მიერ შესვენებისას ჩატარებული ინტელექტუალური წიაღსვლები, „წითლები" თამაშს ვერ მოიგებდნენ.

„ბენიტესის მხრიდან 3-2-4-1 სისტემაზე გადასვლა უთუოდ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ახალმა სქემამ ბრწყინვალედ იმუშავა და შედეგად მოიტანა ის, რაც ამ გადართვის გარეშე ვერაფრის დიდებით ვერ მოხდებოდა — გუნდს სამბურთიანი ჩამორჩენა შემოატრიალებინა.

„მილანი" ასე თამაშობდა: მოედნის ცენტრში ბურთს იღებდა ანდრეა პირლო, იგი აწვდიდა კაკას, რომელიც თავის მხრივ ორ თავდამსხმელს, განსაკუთრებით კი ანდრეი შევჩენკოს ამარაგებდა და „ლივერპული" მათ შებოჭვას ვეღარ ახერხებდა. ეს ვითარება შეიცვალა მაშინ, როდესაც ბენიტესმა ორი ინსაიდით დაიწყო თამაში — სტივენ ჯერარდისა და ლუის გარსიაზე მოგახსენებთ, რომლებიც ნახევარდაცვაში ფლანგებისკენ გაიწიენ.

კარგად ვხვდები, რატომ დაიწყო ბენიტესმა თამაში შუაში შეწეული ჯერარდითა და ხაბი ალონსოთი. მას ამ წყვილის ენერგია კაკას წინააღმდეგ სჭირდებოდა, ხოლო ამ ვარიანტში დიტმარ ჰამანს უნდა დაესვენა, მაგრამ დაიწყო თამაში და გაირკვა, რომ „მილანი" ბურთს მეტისმეტად იოლად აკონტროლებს ასე ჯენარო გატუზო და პირლო კაკას უპრობლემოდ ამარაგებენ ბურთით, კაკა კი თავის მხრივ უბადლოა.

ბენიტესის გადაადგილებების შედეგად, მეორე ტაიმში პირლოს და კაკას საქმე მნიშვნელოვნად გაურთულდათ. ახლა პირლოს ერთი მხრიდან ჯერარდი ზღუდავდა, ხოლო მეორე მხრიდან გარსია, ალუს მას საკუთრივ თავისი კაციც ჰყავდა ასაყვანი და ასეთ გარემოცვაში მოქცეულს დასახმარებლად გატუზოსთვის უნდა ეხმო.

კიდევ, პირლოს ასეთ მარწუხებში შეტყუებამ ის გამოიწვია, რომ მილანელებს ალონსო დარჩათ-მეურვის გარეშე და ამ სახიფათო საქმის გამოსასწორებლად წინიდან, მოედნის სიღრმეში კაკას ჩაწევა გახდა აუცილებელი, ხოლო უკან დახეული კაკა შეტევაში ისეთი ეფექტური აღარ იყო, როგორც პირველ ტაიმში: ვეღარც გაჭედილი პირლოსგან იღებდა დროულ პასებს და ვეღარც თავად უგრძელებდა სწრაფ კომბინაციას თავის ფორვარდებს.

ამ გადაადგილების მეორე ხიბლი იყო ის, რომ ჯერარდმა პირლოსკენ გაქცევა დაიწყო. მიზეზი: პირლო მაინც და მაინც დიდებული მცველი არ არის. შედეგი: ლივერპულელთა პირველი გოლი და პენალტი.

ბენიტესის დიდი მიხვედრილობა გამოჩნდა მაშინაც, როდესაც „მილანმა" საჯარიმოში სახიფათო და სწორი ნამწოდებელი სერჟინიო ნაროთი საჯ[illegible]ში. აქ მერსისაიდელთა მწვრთნელმა ჯერარდი ლამის მარჯვენა მცველად დასვა, ხოლო მისი უწინდელი ადგილი შმიცერს გადააბარა.

და რაში შეცდა რაფა ბენიტესი? როდესაც თავიდანვე გოლის გაშვება და წინასწარ დაწყობილი ტაქტიკა წყალს მაქვს, მწვრთნელისგან სწრაფი მიხვედრილობა მოითხოვება. „მილანი" ამ შეხვედრაში 3:0 დაწინაურდა ხოლო სა-ბოლოო შედეგი თქვენ იცით, ასე რომ."

**ბაბუნა ბედია**





AFP სტამბოლიდან

რაფა ბენიტესის გონივრულმა შეცვლებმა მილანელი კაკა შეაჩერა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# istanbul

The Final 2005

FAN OF THE YEAR

AMSTEL

# მატჩის შემდეგ

***რაფაელ ბენიტესი... ის უკვე ლეგენდარული მწვრთნელია და, თქმა არ უნდა, „ლივერპულის“ ისტორიაში ოქროს ასოებითაა შესული.***

***ესპანელ მწვრთნელს ბრიტანული მედია ასევე ლეგენდარულ ბობ პეისლის ადარებს — ახლა უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ მისი თავკაცობით გუნდი კიდევ ბევრ ჯილდოს მოიგებსო.***

***თუმცა, ტრიუმფატორ რაფასთან პირველი ინტერვიუსთვის ჭიდილში მაინც მისმა თანამემამულე ჟურნალისტებმა იყოჩაღეს.***

***მოკლედ, ქვემოთ სწორედ მადრიდულ „ასში“ დაბეჭდილ ამ ინტერვიუს გთავაზობთ***



„ლივერპულის“ ტრიუმფის შემოქმედნი — სტივენ ჯერარდი და რაფა ბენიტესი

AFP სტამმოლიდან

**— რას გრძნობთ ახლა?**

— ძალიან ბედნიერი ვარ და ამ ბედნიერების გამოსახატავად სიტყვები არ მყოფნის, ყველაფერი ფანტასტიკურად წარიმართა. პირველი ტაიმის მერე ჩემი ფეხბურთელები დაღონებულები იყვნენ, მაგრამ მეორეში ძალები მოიკრიბეს და თავადაც ნახეთ, „ლივერპულმა“ რა სასწაულიც მოახდინა. ვთვლი, რომ მატჩის განმავლობაში ნელნელა „გავიზარდეთ“. 0:3-ის მერე ცხადი იყო, ჩვენს თამაშში ბევრი რამ უნდა შეგვეცვალა. მეტოქის მიერ პირველსავე წუთზე გატანილმა გოლმაც კალაპოტიდან ამოგვაგდო. მერე ჰარი კიუელიც დაგვიშავდა. მოკლედ, მოგება ძვირად კი დაგვიჯდა, თუმც ახლა ყველანი ბედნიერები ვართ.

**— და მაინც, რა მოხდა პირველ ტაიმში?**

— თავიდანვე გადაწყვეტილი გვქონდა, „მილანთან“ ძალიან სწრაფად და შემტევი სტილით გვეთამაშა, თუმც, როგორც გითხარით, მალდინის გოლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მერე, როცა იმას ვარჩევდით, ნესტამ მართლა ხელი დაჰკრა თუ არა ბურთს ლუის გარსიასთან ბრძოლაში, უცებ მეორე ბურთიც გაგვიტანეს. მესამე გოლი კი „მილანის“ კონტრშეტევაზე თამაშის შედევრი იყო.

**— შესვენებისას რისი გამოსწორება სცადეთ?**

— ახლა ამაზე ბევრს არ ვილაპარაკებ, ისე კი ძირითადად სისტემა უნდა შეცვლილიყო. ფინანი დაშვებული იყო და მის მაგივრად მოედანზე ჰამანი შევიდა, რამაც საბოლოო ჯამში გაამართლა კიდეც. ვეცადე, ფეხბურთელები დამერწმუნებინა, რომ სწრაფად გატანილ გოლს ჩვენი გადარჩენა შეეძლო.

**— რა უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა — ფეხბურთელებთან ფსიქოლოგიური მუშაობა თუ ტაქტიკური მონახაზის შეცვლა?**

— მე და ჩემმა თანაშემწეებმა ბიჭებს ვუთხარი, რომ გულშემატკივრების გამო, რალაც უნდა გვეღონა. ამ მოთხოვნაზე მათი ხა[illegible]ანი პასუხით უკიდურესად გახარებული ვარ.

**— დამატებით დროში რა იყო „ლივერპულის“ მიზანი?**

— პირველ ტაიმში [illegible] შავდა, შემდეგ კი ტრავმების [illegible] ის გარსია, შმიცერი და [illegible] შეაწუხა. ფეხბურთელები [illegible] ლნენ და შესაბამისად, [illegible] მთავარი იყო, რომ მეტოქ[illegible] არ გაეტანა.

**— მიუხედავად ამ გამარჯვებისა, რიგი მიზეზების გამო „ლივერპული“ შეიძლება ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში არ დაუშვან...**

— მაჩნამდე ამაზე [illegible] თავს ვიკავებდი, მაგრამ [illegible] დღეული ტრიუმფის [illegible] მატკივარია ხისარულის [illegible] ბათ უარი[illegible] იქნება [illegible] ლის“ ლიგის გარეთ [illegible]

**— სტივ ჯერარდმა თქვა, რომ თქვენთან თავის სამომავლო გეგმებზე ილაპარაკებს...**

— ჯერარდს სხვა [illegible] მოგვრაც უნდა და [illegible] რებიც მასზე [illegible] შეყვარებულნი [illegible] კარიერას „ლივერპულში“ [illegible] ძლებს.

**— 2005 წლის 25 მაისი, [illegible] თქვენთვის ყველაზე ბედნიერ[illegible] ეა?**

— სპორტული თვალსაზრისით [illegible] კი. სხვა მხრივ კი [illegible] ორი პატარა ვაჟიშვილი [illegible] მყავილი ბედნიერებას მხოლოდ [illegible] თან ვგრძნობ.

# ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.06.56 | პარიზი | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) | 4:3 |
| 30.05.57 | მადრიდი | რეალი (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია) | 2:0 |
| 29.05.58 | ბრიუსელი | რეალი (ესპანეთი) — მილანი (იტალია) | 3:2 |
| 03.06.59 | შტუტგარტი | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) | 2:0 |
| 18.05.60 | გლაზგო | რეალი (ესპანეთი) — აინტრახტი (გფრ) | 7:3 |
| 31.05.61 | ბერნი | ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 3:2 |
| 02.05.62 | ამსტერდამი | ბენფიკა (პორტუგალია) — რეალი (ესპანეთი) | 5:3 |
| 22.05.63 | ლონდონი | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 2:1 |
| 27.05.64 | ვენა | ინტერი (იტალია) — რეალი (ესპანეთი) | 3:1 |
| 27.05.65 | მილანი | ინტერი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 11.05.66 | ბრიუსელი | რეალი (ესპანეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) | 2:1 |
| 25.05.67 | ლისაბონი | სელტიკი (შოტლანდია) — ინტერი (იტალია) | 2:1 |
| 29.05.68 | ლონდონი | მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბენფიკა (პორტუგალია) | 4:1 |
| 28.05.69 | მადრიდი | მილანი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 4:1 |
| 06.05.70 | მილანი | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 2:0 |
| 02.06.71 | ლონდონი | აიაქსი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 2:0 |
| 31.05.72 | როტერდამი | აიაქსი (ჰოლანდია) — ინტერი (იტალია) | 2:0 |
| 30.05.73 | ბელგრადი | აიაქსი (ჰოლანდია) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 15.05.74 | ბრიუსელი | ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი) | 1:1 |
| 17.05.74 | ბრიუსელი | ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი) | 4:0 |
| | | *გადათამაშება* | |
| 28.05.75 | პარიზი | ბაიერნი (გფრ) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | 2:0 |
| 12.05.76 | გლაზგო | ბაიერნი (გფრ) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი) | 1:0 |
| 25.05.77 | რომი | ლივერპული (ინგლისი) — მონხენგლადბახი (გფრ) | 3:1 |
| 10.05.78 | ლონდონი | ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) | 1:0 |
| 30.05.79 | მიუნხენი | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი) | 1:0 |
| 28.05.80 | მადრიდი | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — ჰამბურგი (გფრ) | 1:0 |
| 27.05.81 | პარიზი | ლივერპული (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი) | 1:0 |
| 26.05.82 | როტერდამი | ასტონ ვილა (ინგლისი) — ბაიერნი (გფრ) | 1:0 |
| 25.05.83 | ათენი | ჰამბურგი (გფრ) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 30.05.84 | რომი | ლივერპული (ინგლისი) — რომა (იტალია) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 29.05.85 | ბრიუსელი | იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი) | 1:0 |
| 07.05.86 | სევილია | სტიაუა (რუმინეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 0:0 (პენ. 2:0) |
| 27.05.87 | ვენა | პორტუ (პორტუგალია) — ბაიერნი (გფრ) | 2:1 |
| 25.05.88 | შტუტგარტი | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 0:0 (პენ. 6:5) |
| 25.05.89 | ბარსელონა | მილანი (იტალია) — სტიაუა (რუმინეთი) | 4:0 |
| 23.05.90 | ვენა | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 29.05.91 | ბარი | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მარსელი (საფრანგეთი) | 0:0 (პენ. 5:3) |
| 20.05.92 | ლონდონი | ბარსელონა (ესპანეთი) — სამპდორია (იტალია) | 1:0 დამ. დრ. (0:0) |
| 26.05.93 | მიუნხენი | მარსელი (საფრანგეთი) — მილანი (იტალია) | 1:0 |
| 18.05.94 | ათენი | მილანი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 4:0 |
| 24.05.95 | ვენა | აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი (იტალია) | 1:0 |
| 23.05.96 | რომი | იუვენტუსი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 28.05.97 | მიუნხენი | ბორუსია (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია) | 3:1 |
| 20.05.98 | ამსტერდამი | რეალი (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 26.05.99 | ბარსელონა | მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია) | 2:1 |
| 24.05.00 | პარიზი | რეალი (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | 3:0 |
| 23.05.01 | მილანი | ბაიერნი (გერმანია) — ვალენსია (ესპანეთი) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 15.05.02 | გლაზგო | რეალი (ესპანეთი) — ლევერკუზენი (გერმანია) | 2:1 |
| 28.05.03 | მანჩესტერი | მილანი (იტალია) — იუვენტუსი (იტალია) | 0:0 (პენ. 3:2) |
| 26.05.04 | გელზენკირხენი | პორტუ (პორტუგალია) — მონაკო (საფრანგეთი) | 3:0 |
| 25.05.05 | სტამბოლი | ლივერპული (ინგლისი) — მილანი (იტალია) | 3:3 (პენ. 3:2) |

*შენიშვნა: 1992 წლიდან ჩემპიონთა თასი შეიცვალა ჩემპიონთა ლიგით*

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 547 | ვესტ ჰემი-პრესტონი | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 548 | ჰარტლპული-შეფილდი | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 549 | საუთენდი-ლინკოლნი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **27 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 36 | კაფენბერგი-რიდი | 2.05 | 3.2 | 3.1 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 21:00 | 37 | კერნტენი-ალტახი | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 16:30 | 40 | სტ.გალენი-გრასჰოპერი | 3.7 | 3.0 | 1.85 | 1.65 | 1.23 | 1.14 |
| 16:30 | 41 | იანგ ბოისი-შაფჰაუზენი | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 16:30 | 42 | ციურიხი-აარაუ | 2.0 | 3.3 | 3.0 | 1.24 | 1.2 | 1.57 |
| 22:15 | 43 | ბაზელი-ქსამაქსი | 1.35 | 4.3 | 6.5 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 45 | ბადენი-ვოლენი | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 21:30 | 47 | კიასო-ვადუცი | 2.25 | 3.3 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 19:30 | 48 | შო დე ფონი-კონკორდია | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 21:30 | 49 | ლუგანო-მერინი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 21:30 | 51 | სიონი-კრიენსი | 1.35 | 4.5 | 6.0 | 1.03 | 1.1 | 2.57 |
| 19:30 | 52 | ვილი-ბელინცონა | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 54 | ბოლონია-სამპდორია | 1.75 | 4.1 | 3.4 | 1.22 | 1.15 | 1.85 |
| 17:00 | 55 | ფიორენტინა-ბრეშა | 1.65 | 3.9 | 4.0 | 1.15 | 1.16 | 1.97 |
| 17:00 | 56 | ინტერი-რეჯინა | 1.7 | 2.3 | 9.0 | 1.0 | 1.42 | 1.83 |
| 17:00 | 58 | იუვენტუსი-კალიარი | 1.35 | 3.6 | 10.0 | 1.0 | 1.18 | 2.64 |
| 17:00 | 60 | ლეჩე-პარმა | 5.5 | 2.8 | 1.7 | 1.85 | 1.29 | 1.05 |
| 17:00 | 61 | მესინა-ლივორნო | 2.0 | 2.0 | 8.0 | 1.0 | 1.6 | 1.6 |
| 17:00 | 62 | პალერმო-ლაციო | 4.5 | 1.4 | 5.0 | 1.06 | 2.36 | 1.09 |
| 17:00 | 63 | რომა-კიევო | 4.6 | 1.8 | 2.8 | 1.29 | 1.74 | 1.09 |
| 17:00 | 65 | უდინეზე-მილანი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **27 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 70 | ბარი-პესკარა | 1.95 | 2.3 | 5.0 | 1.05 | 1.4 | 1.57 |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 69 | ასკოლი-პერუჯა | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 22:30 | 71 | კატანია-მოდენა | 2.95 | 2.6 | 2.25 | 1.38 | 1.27 | 1.2 |
| 22:30 | 72 | კროტონე-პიაჩენცა | 1.85 | 3.3 | 3.4 | 1.18 | 1.19 | 1.67 |
| 22:30 | 73 | ტერნანა-ტორინო | 3.6 | 2.6 | 2.05 | 1.5 | 1.3 | 1.14 |
| 22:30 | 75 | ტრიესტინა-ვიჩენცა | 1.95 | 2.6 | 4.2 | 1.11 | 1.33 | 1.6 |
| 22:30 | 76 | ვერონა-სალერნიტანა | 1.85 | 2.6 | 4.7 | 1.08 | 1.32 | 1.67 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 83 | სოსიედადი-ბარსელონა | 3.1 | 3.3 | 2.1 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 23:00 | 87 | სარაგოსა-რეალი | 2.85 | 3.2 | 2.25 | 1.5 | 1.25 | 1.32 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 77 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.8 | 3.3 | 3.9 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:00 | 78 | ესპანიოლი-ბილბაო | 1.55 | 3.6 | 5.5 | 1.08 | 1.2 | 2.17 |
| 23:00 | 79 | მალიორკა-ბეტისი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 80 | ნუმანსია-დეპორტივო | 2.55 | 3.3 | 2.5 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 21:00 | 81 | რასინგი-ალბასეტე | 1.7 | 3.6 | 4.5 | 1.15 | 1.23 | [illegible] |
| 23:00 | 82 | სევილია-მალაგა | 1.35 | 4.5 | 7.5 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 23:00 | 84 | ვალენსია-ოსასუნა | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 23:00 | 85 | ვილიარეალი-ლევანტე | 1.45 | 4.1 | 5.8 | 1.07 | 1.15 | 2.4 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 89 | ალავესი-კორდობა | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 20:00 | 90 | კადისი-სიუდადი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 20:00 | 91 | სელტა-ტერასა | 1.55 | 3.4 | 5.5 | 1.06 | 1.2 | 2.1 |
| 20:00 | 92 | ფეროლი-პონტევედრა | 2.0 | 3.0 | 3.4 | 1.2 | 1.25 | 1.59 |
| 20:00 | 93 | სპორტინგი-ლეიდა | 2.0 | 2.8 | 3.8 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 20:00 | 94 | ტარაგონა-ალმერია | 2.5 | 2.8 | 2.8 | 1.32 | 1.32 | 1.39 |
| 20:00 | 95 | მალაგა ბ-ტენერიფე | 2.05 | 2.8 | 3.6 | 1.18 | 1.3 | 1.57 |
| 20:00 | 96 | მურსია-სერესი | 2.4 | 2.6 | 3.2 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 20:00 | 97 | ეხიდო-ელჩე | 1.95 | 2.8 | 3.8 | 1.14 | 1.28 | 1.61 |
| 20:00 | 98 | უელვა-ეიბარი | 2.1 | 2.8 | 3.45 | 1.2 | 1.3 | 1.54 |
| 20:00 | 99 | სალამანკა-ვალიადოლიდი | 1.9 | 3.0 | 3.8 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 100 | აიაჩო-სოშო | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:00 | 101 | ოსერი-ლილი | 2.6 | 2.9 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.58 |
| 22:00 | 102 | ბორდო-მარსელი | 2.4 | 2.7 | 3.2 | 1.27 | 1.37 | 1.46 |
| 22:00 | 103 | ისტრი-კაენი | 4.5 | 3.7 | 1.6 | 2.03 | 1.18 | 1.11 |
| 22:00 | 104 | ლანსი-ტულუზი | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 22:00 | 105 | ლიონი-ნიცა | 1.4 | 3.9 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 22:00 | 107 | მონაკო-სტ.ეტიენი | 1.6 | 3.6 | 4.8 | 1.1 | 1.2 | 2.05 |
| 22:00 | 108 | ნანტი-მეცი | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 22:00 | 109 | პსჟ-რენი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 22:00 | 110 | სტრასბური-ბასტია | 2.7 | 3.5 | 2.2 | 1.52 | 1.21 | 1.35 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **27 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 111 | ამიენი-გენიონი | 1.9 | 2.9 | 4.0 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 22:45 | 112 | ანჟე-შატორუ | 2.4 | 2.8 | 3.0 | 1.29 | 1.33 | 1.44 |
| 22:45 | 113 | კლერმონი-ლე მანი | 2.85 | 2.7 | 2.5 | 1.38 | 1.33 | 1.29 |
| 22:45 | 114 | კრეტეი-რეიმსი | 1.8 | 2.9 | 4.5 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 22:45 | 115 | დიჟონი-ლავალი | 1.7 | 3.1 | 4.8 | 1.09 | 1.25 | 1.88 |
| 22:45 | 116 | გენგამი-გრენობლი | 1.7 | 3.2 | 4.8 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 22:45 | 117 | ლორიანი-სედანი | 2.1 | 2.8 | 3.6 | 1.2 | 1.32 | 1.57 |
| 22:45 | 118 | ნანსი-ბრესტი | 1.6 | 3.2 | 5.2 | 1.06 | 1.22 | 1.98 |
| 22:45 | 119 | ნიორი-ლე ავრი | 2.4 | 2.8 | 2.9 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 22:45 | 120 | ტრუა-მონპელიე | 1.9 | 3.0 | 3.8 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 15:00 | 146 | ალანია-როსტოვი | 1.85 | 3.0 | 4.2 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 15:00 | 148 | კრილია-სპარტაკი | 2.7 | 2.8 | 2.6 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| 14:00 | 149 | ლოკომოტივი-დინამო | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 15:00 | 150 | ტერეკი-ამკარი | 1.95 | 3.0 | 3.6 | 1.18 | 1.26 | 1.63 |
| 15:00 | 151 | ტომსკი-რუბინი | 2.15 | 2.9 | 3.2 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 15:00 | 152 | ტორპედო-შინიკი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 15:00 | 153 | ზენიტი-სატურნი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 184 | პეტრჟალკა-პუხოვი | 1.35 | 4.3 | 6.5 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| 19:00 | 185 | ბ.ბისტრიცა-დუბნიცა | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 186 | ინტერი-ტრენჩინი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 187 | ტრნავა-სობოტა | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 19:00 | 188 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 189 | ზაგრები-სლავენი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 19:00 | 190 | რიეკა-ინტერი | 2.35 | 3.4 | 2.4 | 1.38 | 1.18 | 1.4 |
| 19:00 | 191 | ჰაიდუკი-ვარტექსი | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 203 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 204 | ორჰუსი-ვიბორგი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 17:00 | 205 | ესბიერგი-ოდენსე | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 17:00 | 206 | ნორდსიელანდი-რანდერსი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 17:00 | 207 | ჰერფიოლგე-სილკებორგი | 2.4 | 3.2 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 19:30 | 208 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2.65 | 3.2 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 209 | ჰელერუპი-ჰორსენსი | 3.5 | 3.4 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 17:00 | 210 | სკიოლდი-ბრიონსჰიოი | 1.65 | 3.8 | 4.0 | 1.15 | 1.16 | 1.94 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 15:00 | 211 | ფრედერისია-ბ 93 | 1.6 | 3.7 | 4.5 | 1.11 | 1.18 | 2.03 |
| 15:00 | 212 | ფრემი-აკადემიკი | 1.5 | 3.8 | 5.2 | 1.07 | 1.16 | 2.19 |
| 15:00 | 213 | ფრემადი-დალუმი | 1.75 | 3.7 | 3.7 | 1.18 | 1.18 | 1.85 |
| 17:00 | 214 | ნესტვედი-იოლსტიკე | 2.4 | 3.6 | 2.34 | 1.44 | 1.18 | 1.41 |
| 17:00 | 215 | სიონდერიისკე-კიოგე | 1.75 | 3.7 | 3.6 | 1.18 | 1.17 | 1.82 |
| 17:00 | 216 | ვეილე-ნიკიობინგი | 1.9 | 3.8 | 3.2 | 1.26 | 1.19 | 1.73 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 218 | ალესუნდი-ფრედრიკსტადი | 2.45 | 3.1 | 2.7 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| 20:00 | 219 | ჰამარი-ვიკინგი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 20:00 | 220 | მოლდე-ბოდიო გლიმტი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 221 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 3.8 | 3.4 | 1.8 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 20:00 | 222 | ტრომსიო-ლილესტრიომი | 2.35 | 3.3 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 22:05 | 223 | ბრანი-ლინი | 1.95 | 3.4 | 3.5 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 224 | ვოლერენგა-სტარტი | 1.8 | 3.4 | 4.2 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 225 | სოგნდალი-ალტა | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 226 | ტონსბერგი-მოსი | 2.0 | 3.8 | 2.8 | 1.31 | 1.16 | 1.61 |
| 20:00 | 227 | ფოლო-სტრიომსგოდსეტი | 2.45 | 3.7 | 2.25 | 1.47 | 1.17 | 1.39 |
| 20:00 | 228 | ჰიოდი-სტაბეკი | 3.4 | 4.0 | 1.8 | 1.83 | 1.17 | 1.24 |
| 20:00 | 229 | კონგსვინგერი-ბრინი | 2.45 | 3.7 | 2.35 | 1.47 | 1.19 | 1.43 |
| 20:00 | 230 | მანდალი-ჰიონეფოსი | 2.05 | 4.0 | 2.7 | 1.35 | 1.16 | 1.61 |
| 20:00 | 231 | სანდეფიორდი-ლოვ ჰამი | 1.25 | 6.0 | 8.0 | 1.03 | 1.08 | 3.42 |
| 20:00 | 232 | სკეიდი-ჰორს გრენლანდი | 2.05 | 4.0 | 2.7 | 1.35 | 1.16 | 1.61 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 237 | ასირისკა-სუნდსვალი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 238 | გეფლე-ჰალმსტადი | 3.6 | 3.4 | 1.9 | 1.74 | 1.24 | 1.21 |
| 19:00 | 239 | მალმიო-იორგრიტე | 1.45 | 4.0 | 6.0 | 1.06 | 1.16 | 2.4 |
| 19:15 | 240 | კალმარი-იურგორდენი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 241 | ლანდსკრონა-ჰელსინგბორგი | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 21:00 | 242 | გიოტებორგი-ელფსბორგი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 21:00 | 243 | ჰამარბი-ჰეკენი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **27 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 268 | უოტერფორდი-დროგედა | 2.3 | 3.0 | 2.9 | 1.3 | 1.28 | 1.47 |
| 22:45 | 269 | ბოჰემიანი-შელბურნი | 2.75 | 3.1 | 2.25 | 1.45 | 1.23 | 1.3 |
| 22:45 | 270 | კორკი-დერი | 1.95 | 3.1 | 3.5 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 22:45 | 271 | სტ.პატრიკსი-ლონგფორდი | 2.15 | 3.0 | 3.1 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 22:45 | 272 | დუბლინი-შემროკი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 273 | ჰერპსი-ბრეი | 2.35 | 3.0 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 285 | ვაშინგტონი-დალასი | 2.35 | 3.0 | 2.65 | 1.31 | 1.24 | [illegible] |
| 23:45 | 286 | კოლამბუსი-ნიუ იორკი | 2.2 | 3.2 | 2.75 | 1.3 | 1.22 | 1.47 |
| 23:45 | 287 | ნიუ ინგლენდი-კოლორადო | 1.5 | 3.4 | 5.8 | 1.04 | 1.19 | 2.14 |
| 23:45 | 288 | კანზასი-სან ხოსე | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 23:45 | 289 | სოლტ ლეიკი-ჩიკაგო | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 333 | შალკე-ბაიერნი | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 334 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1.2 | 5.0 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.43 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 335 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 3.54 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 336 | პსვ-ტილბურგი | 1.35 | 4.5 | 6.5 | 1.03 | 1.11 | 2.65 |
| | | **პორტუგალია. თასი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 337 | ბენფიკა-სეტუბალი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.17 |
| | | **ჩოგბურთი. კაცები Roland Garros** | | | | | | |
| | | **27 მაისი** | | | | | | |
| 13:00 | 619 | გაუდიო-მანტილა | 1.15 | 4.0 | | | | |
| 13:00 | 620 | ჰორნა-განეკუ | 1.65 | 1.9 | | | | |
| 13:00 | 621 | გროსჟანი-შტერანეკი | 1.6 | 2.0 | | | | |
| 13:00 | 622 | ნალბანდიანი-ანჩიჩი | 1.25 | 3.5 | | | | |
| 13:00 | 623 | ნადალი-გასკე | 1.25 | 3.2 | | | | |
| 13:00 | 624 | ფედერერი-გონსალესი | 1.1 | 5.0 | | | | |
| 13:00 | 625 | ფერერი-ლი ხ | 1.15 | 4.5 | | | | |
| 13:00 | 626 | მოია-ვისენტე | 1.08 | 5.8 | | | | |
| | | **ჩოგბურთი. ქალები Roland Garros** | | | | | | |
| | | **27 მაისი** | | | | | | |
| 13:00 | 627 | დემენტევა-მორიგამი | 1.15 | 4.5 | | | | |
| 13:00 | 628 | დევენპორტი-რაზანო | 1.15 | 4.5 | | | | |
| 13:00 | 629 | კლისტერსი-ხანტუჩოვა | 1.1 | 4.8 | | | | |
| 13:00 | 630 | ლოიტი-გალიარდი | 1.35 | 2.8 | | | | |
| 13:00 | 631 | პერსი-ზვონარევა | 1.5 | 2.35 | | | | |
| 13:00 | 632 | უილიამსი ვ-კარატანჩევა | 1.1 | 5.5 | | | | |
| 13:00 | 633 | ფარინა-ლიხოვცევა | 1.3 | 2.9 | | | | |
| 13:00 | 634 | შნაიდერი-პენეტა | 1.2 | 3.9 | | | | |




## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17054 | ბოლონია-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ფიორენტინა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17058 | იუვენტუსი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17060 | ლეჩე-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17077 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17078 | ესპანიოლი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17079 | მალიორკა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ნუმანსია-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17081 | რასინგი-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17083 | სოსიედადი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17087 | სარაგოსა-რეალი | 1.85 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12054 | ბოლონია-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 12055 | ფიორენტინა-ბრეშა | 1.9 | 1.7 |
| 12058 | იუვენტუსი-კალიარი | 2.1 | 1.5 |
| 12060 | ლეჩე-პარმა | 2.1 | 1.5 |
| 12077 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12078 | ესპანიოლი-ბილბაო | 1.9 | 1.7 |
| 12079 | მალიორკა-ბეტისი | 2.0 | 1.6 |
| 12080 | ნუმანსია-დეპორტივო | 1.9 | 1.7 |
| 12081 | რასინგი-ალბასეტე | 1.9 | 1.7 |
| 12083 | სოსიედადი-ბარსელონა | 1.9 | 1.7 |
| 12087 | სარაგოსა-რეალი | 1.9 | 1.7 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბარი | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15054 | ბოლონია-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15055 | ფიორენტინა-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15058 | იუვენტუსი-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15060 | ლეჩე-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15077 | ატლეტიკო-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15078 | ესპანიოლი-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | მალიორკა-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 | ნუმანსია-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | რასინგი-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | სოსიედადი-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | სარაგოსა-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14054 | ბოლონია-სამპდორია | 1.6 | 2.1 |
| 14055 | ფიორენტინა-ბრეშა | 1.45 | 2.3 |
| 14060 | ლეჩე-პარმა | 2.1 | 1.45 |
| 14077 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.5 | 2.3 |
| 14078 | ესპანიოლი-ბილბაო | 1.45 | 2.4 |
| 14079 | მალიორკა-ბეტისი | 1.8 | 1.9 |
| 14080 | ნუმანსია-დეპორტივო | 1.9 | 1.8 |
| 14081 | რასინგი-ალბასეტე | 1.45 | 2.4 |
| 14083 | სოსიედადი-ბარსელონა | 2.1 | 1.6 |
| 14087 | სარაგოსა-რეალი | 2.2 | 1.7 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13054 | ბოლონია-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13055 | ფიორენტინა-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13058 | იუვენტუსი-კალიარი | 1.6 | 2.0 |
| 13060 | ლეჩე-პარმა | 1.6 | 2.0 |
| 13077 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13078 | ესპანიოლი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13079 | მალიორკა-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13080 | ნუმანსია-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13081 | რასინგი-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13083 | სოსიედადი-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13087 | სარაგოსა-რეალი | 1.7 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11054 | ბოლონია-სამპდორია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 8.0 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11055 | ფიორენტინა-ბრეშა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11060 | ლეჩე-პარმა | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11077 | ატლეტიკო-ხეტაფე | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11078 | ესპანიოლი-ბილბაო | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 8.5 | 20.0 | 10.0 | 7.5 |
| 11079 | მალიორკა-ბეტისი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11080 | ნუმანსია-დეპორტივო | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 11081 | რასინგი-ალბასეტე | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.5 | 8.5 | 20.0 | 10.0 | 7.5 |
| 11083 | სოსიედადი-ბარსელონა | 5.0 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11087 | სარაგოსა-რეალი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.2 |

## I ტაიმის შედეგები

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10054 | ბოლონია-სამპდორია | 2.1 | 2.1 | 3.9 | 1.04 | 1.36 | 1.36 |
| 10055 | ფიორენტინა-ბრეშა | 1.9 | 2.2 | 4.0 | 1.01 | 1.28 | 1.41 |
| 10058 | იუვენტუსი-კალიარი | 1.55 | 2.4 | 5.0 | 1.0 | 1.18 | 1.62 |
| 10060 | ლეჩე-პარმა | 4.5 | 1.9 | 2.1 | 1.33 | 1.43 | 1.0 |
| 10077 | ატლეტიკო-ხეტაფე | 2.3 | 2.1 | 4.4 | 1.09 | 1.51 | 1.42 |
| 10078 | ესპანიოლი-ბილბაო | 2.0 | 2.1 | 5.0 | 1.02 | 1.42 | 1.47 |
| 10079 | მალიორკა-ბეტისი | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10080 | ნუმანსია-დეპორტივო | 3.1 | 2.0 | 2.9 | 1.21 | 1.49 | 1.18 |
| 10081 | რასინგი-ალბასეტე | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10087 | სარაგოსა-რეალი | 3.2 | 2.1 | 2.9 | 1.26 | 1.52 | 1.21 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „ბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერეთის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# დათვებიც ჩამოვიცილეთ წინ მუხის ფოთლებია

**ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე 20-წლამდელ მორაგბეებს შორის გუშინწინ ნახევარფინალები ჩატარდა. საქართველოს, როგორც გახსოვთ, რუსეთი გადაეყარა, ჩემპიონატის მასპინძელ ესპანელებს კი ტურნირის ფავორიტი რუმინეთის ნაკრები.**

**რუსეთი დამარცხებულია, საქართველო — ფინალში, იქ კი უკვე რუმინეთი გველოდება.**

**ჩრდილოელ** „დათვებთან" ანგარიში ბორჯღალოსნებმა გახსნეს. ირაკლი ყიასაშვილის ზუსტმა საჯარიმომ პირველი 3 ქულა მოგვიტანა. თუმცა შემდეგ ჩვენებურთ რუსთა შეტევა გამოეპარათ და მათაც ლელო დაგვიდეს. საბედნიეროდ, „დათვებს" გარდასახვა არ მოუხერხდათ და მხოლოდ 5 ქულას გამორჩნენ. ამას გარდა რუსებმა 2 საჯარიმო გაიტანეს, თუმცა რაც ყიასაშვილმა ქნა, იმასთან ჩრდილოელთა ჯარიმები რა მოსატანია.

ირაკლიმ შვიდჯერ მოიქნია ფეხი საჯარიმოდ და შვიდჯერვე ბურთი ძელებს შორის გააძვრინა. თანაც უმეტესობა შორეული დისტანციიდან. ამას თემო სოხაძის ერთი არეკნიც მიამატეთ და 24 ქულა გამოგვივა. რუსთა მონაგარი კი მატჩის ბოლომდე 11 ქულა იყო, თუმცა მსაჯს ის იყო, საფინალოდ უნდა დაესტვინა, რომ რუსებმა ერთი ლელო მაინც გაგვიტანეს და საბოლოოდ 24:16 გავიმარჯვეთ.

მეორე ნახევარფინალში მასპინძელი ესპანელები რუმინეთს ეთამაშებოდნენ. ტრიბუნები გრგვინავდა და გულშემატკივართა შეძახილები ქალაქს ანგრევდაო, ვერ ვიტყვით, თუმც ვინც ტრიბუნაზე იყო, ის ხომ ამხნევებდა თავის გუნდს და ამას ისიც დაუმატეთ, რომ მსაჯებმაც მასპინძელთა სასარგებლოდ მიიღეს ერთი-ორი საეჭვო გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მაინც „მუხის ფოთლებმა" იმარჯვეს — 40:8.

29 მაისს ფინალია. საქართველო ძალიან ძლიერ რუმინეთს ხვდება. ჩვენს ბიჭებს თუ გამარჯვება უნდათ, ბოლომდე უნდა დაიხარჯონ და შეუძლებელი შეძლონ.

**ლადო ფულუხიძე**





# დიჟონი არა...

**ვიქტორ** სანიკიძე ერთ-ერთი იმათგანია, რომელთაც წარმატებული სეზონი ჰქონდათ. ის საფრანგეთის უმაღლესლიგელი „დიჟონის" წევრია და ამ სეზონში არაერთხელ გამოიჩინა თავი. „ვიკას" საახალწლო არდადეგების შემდეგ ჰქონდა მცირე ჩავარდნა, თუმც შემდეგ სიჩქარე აკრიფა და მისი ასაკის მოთამაშის კვალობაზე სოლიდური შედეგიანობა გამოიჩინა. ეს, ცხადია, არავის გამოჰპარვია და 19 წლის სანიკიძით არაერთი ფრანგული და ევროპული კლუბი დაინტერესდა. დღეს ვიქტორი პარიზში ჩავა, რათა თავის მენეჯერ, ამავდროულად კლუბ „რასინგის" პრეზიდენტ რიდ სალივანთან ერთად მისი ტრანსფერის ვარიანტები აწონდაწონოს. გუშინ სანიკიძეს დიჟონში დავუკავშირდით და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ...

— ახლა ბარგს ვალაგებ და პარიზში მივდივარ, სადაც დიდი მოლაპარაკებები მელის ჩემი მსურველი გუნდების წარმომადგენლებთან. ოღონდ რომელი კლუბებია, ჯერ არ ვიცი. ვითარებაში საქმის ყურში ჩემი მენეჯერი რიდ სალივანია გარკვეული, რომელმაც მითხრა, პარიზში ჩამოდი და ყველაფერზე აქ დაგელაპარაკებიო.

— შენ გინდა სხვა კლუბში გადასვლა?

— რატომაც არა, თუ „დიჟონში" უკეთეს პირობებს შემომთავაზებენ. მე ამ კლუბთან კი მაკავშირებს მოქმედი კონტრაქტი, მაგრამ თუ მსურველი გამოჩნდება, ხელშეკრულების გამოსყიდვა შეიძლება.

— რა ღირს შენი კონტრაქტი და თუ იციან დიჟონელებმა, რომ პარიზში მოლაპარაკებებზე მიდიხარ?

— პირდაპირ არ მითქვამს, სხვა კლუბებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ ჩემი გუნდის ხელმძღვანელობამ იცის, რომ თუ უკეთესი ვარიანტი გამოჩნდება, წასვლელი ვარ. ჩემი კონტრაქტი 30 ათასი ევრო ღირს, სწორედ ამდენი უნდა გადაიხადოს ჩემი აყვანის მსურველმა კლუბმა.

— როდის გეცოდინება, მიდიხარ თუ რჩები „დიჟონში"?

— 30 ივნისამდე თუ სხვა კლუბთან არ გავაფორმე კონტრაქტი, ავტომატურად „დიჟონში" გრძელდება თუ 40 ათასი ევროს გადახდას დაიწყებს და „დიჟონზე" უკეთეს პირობებს შემომთავაზებს, ნებისმიერ კლუბს შეუძლია, 30 ივნისამდე კონტრაქტი გამიფორმოს.

— ამერიკაში რომ აპირებდი წასვლას...

— აუცილებლად წავალ, მაგრამ როდის, ჯერ არ ვიცი. „სან ანტონიო" ახლა პლეი ოფში თამაშობს და კლუბის უფროსებმა ჯერ არ იციან, როდის მოაწყობენ სანახავებს კემპს.

— ახალგაზრდული ნაკრები 6 ივნისს იწყებს შეკრებას. შენ გელოდება?

— არა მგონია, თუმცა ზუსტად ვერ ვიტყვი მანამ, სანამ ჩემს მწვრთნელს არ შევხვდები. ვცდი 6-ში ჩამოვიდე, ან მოგვიანებით შევუერთდე ახალგაზრდულ ნაკრებს. ამასთან დაკავშირებით უკვე ველაპარაკე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს.

**ირაკლი პერტაია**



# კანდიდატი ოთხია, არჩევანი ერთი

**ჭიდაობის ფედერაციის უსაშველოდ გაჭიანურებული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე ხუთი დღე რჩება. პრეზიდიუმის საგანგებო სხდომამ პრეზიდენტ ბაკურ გოგიტიძეს უფლებამოსილება სამთვენახევრის წინ შეუჩერა. მაშინდელი გადაწყვეტილებით, ახალი პირველკაცი 4 მაისის ყრილობას უნდა დაენიშნა, თუმც მოულოდნელად ყრილობა 1 ივნისისთვის გადაიდო.**

**პრეზიდიუმის** ეს გადაწყვეტილება მაშინ საჭიდაო საქმეებში სახელმწიფოს ჩარევად მოინათლა. მოჭიდავეთა აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტარ ვალერი გელაშვილს ვუჭერდით მხარს, მაგრამ სახელმწიფოს ფავორიტი მეორე პარლამენტარი კახა გეწაძე იყო და რახან მისი გაპრეზიდენტების შანსი ნულს უდრიდა, არჩევნების თარიღის გადაწევა კატეგორიულად მოითხოვესო — ამბობდნენ მაისის დასაწყისში გელაშვილის მომხრე სპორტსმენები.

ერთხანს ვალერი გელაშვილისგან კანდიდატურის მოხსნაზეც ალაპარაკდნენ, თუმც ხმები თავად კანდიდატმა უარყო. სარწმუნო წყაროებით, გელაშვილი სადღეისოდაც საკმაო მხარდაჭერით სარგებლობს, მაგრამ გეწაძის შანსებიც ერთიორად გაზრდილა.

კანდიდატურა არც ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობის დროებით შემსრულებელ თემურ ყაზარაშვილს მოუხსნია. 4 მაისის ყრილობაზე იგი სავარაუდოდ ამას გელაშვილის სასარგებლოდ აპირებდა, 1 ივნისს კი როგორ მოიქცევა, ვერავინ ამბობს.

მეოთხე კანდიდატი ვეტერანი მოჭიდავე ლევან თედიაშვილია, რომელმაც განცხადება სამაისო ყრილობის გადადების შემდეგ შეიტანა. მეტი კანდიდატი აღარ გამოჩნდება, ეს უკვე გადაწყვეტილია, რადგან ფედერაციაში განაცხადების წარდგენის ვადა გუშინწინ დასრულდა. ახლა მთავარია, საქმეს წერტილი როგორმე დაესვას და პრეზიდენტის სავარძელს სრულუფლებიანი პატრონი გამოუჩნდესო, ამბობენ მოჭიდავეები.

1 ივნისის ყრილობა ან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საპრესკონფერენციო დარბაზში ჩატარდება, ან ჭადრაკის სასახლეში. ჯერჯერობით მისი დაწყების დროც დაუზუსტებელია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# სეზონი შოუთი დაიხურება
## ოლ სტარში ცვლილებაა



**შაბათს** ვერის ბაღი ამ სეზონის დამაგვირგვინებელ მატჩს უმასპინძლებს. თუმცა ეს უფრო შოუ იქნება, ვიდრე სპორტული ინტერესის მქონე შეხვედრა. 28 მაისს ეროვნული ჩემპიონატის ყველა ვარსკვლავის მატჩი, ეგრეთ წოდებული ოლ სტარი გაიმართება.

ესაა კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული რიგით მეორე ოლ სტარი. პირველი შარშან გაიმართა, 90-იანი წლების შუაში კი სამოყვარულო დონეზე ტარდებოდა ამგვარი ტიპის მატჩები.

ამ ოლ სტარისთვის შემადგენლობა მთლიანად ჟურნალისტებმა შეარჩიეს, თუმც მედიის ვარიანტსა და იმ შემადგენლობას შორის, რომელსაც შაბათს მოედანზე ვიხილავთ, გვარიანი განსხვავებაა. ტრავმებისა და პირადი საქმეებისა თუ პრინციპების გამო ოლ სტარის შემადგენლობიდან რამდენიმე მოთამაშე და მწვრთნელი ამოვარდა. მივყვეთ...

პირველ გუნდს ტრავმების გამო სამი დინამოელი გამოაკლდა — ნიკა ჩხატარაშვილი, ვალერი კილაძე და შიო ხეცურიანი. ამათ ნაცვლად ჩემპიონი მწვრთნელის, ნუგზარ ჭეიშვილის განკარგულებაში ეს სამეული იქნება: თელაველი ბესო დოლმაზაშვილი და სტუ-ელები: გიორგი გაგნიძე და რიჩარდ მათიაშვილი.

აი, მეორე გუნდში კი ტრავმები არაფერ შუაშია. ირაკლი ხოშტარიასა და კახა შენგელიას პირადი პრობლემები აქვთ მოსაგვარებელი, ხოლო მათმა მწვრთნელმა „ავიამშენში", ლევან მოსეშვილმა უარი თქვა ოლ სტარის მეორე გუნდის გაძღოლაზე.

ამათ ნაცვლად მეორე გუნდში ამიროსი ორმოცაძე და არჩილ ყლენტი ითამაშებენ, ხოლო მთავარი მწვრთნელი თსუ-ს თავკაცი მამუკა ტურაშვილი იქნება. მის ასისტენტობას რუსთაველთა მარადი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე გასწევს.

აქვე შეგახსენებთ ჩატენვებისა და სამქულიანების ტურნირების მონაწილეებს. სნაიპერობას ერთმანეთს გოჩა წოწელია, დავით ბერიშვილი, დავით არწივაძე და ნიკოლოზ ჩერქეზია შეეცილება, ხოლო ჩატენვებში ცალზე ეფექტური ტრიუკის შესრულებას გივი ვაშაკიძე, მიხეილ ფანჩულიძე და ირაკლი კეიდია შეეცდებიან.

ბარემ აქვე სრულ საოლსტარო შემადგენლობასაც წარმოგიდგენთ. პირველი გუნდი: ლაშა გამყრელიძე, რამაზ გოგობერიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, რიჩარდ მათიაშვილი, ირაკლი ჯაფარიძე, ნიკა მეტრეველი, დავით ბერიშვილი, ლევანი ლოლაშვილი, ირაკლი კეიდია, გიორგი გაგნიძე, ბესო დოლმაზაშვილი, ალექსი დავითულიანი.

მეორე გუნდი: გიორგი ნიკოლაძე, გიორგი მარხვაშვილი, თორნიკე ნინაშვილი, მიხეილ ფანჩულიძე, დავით ბერძენიშვილი, ამირანი ორმოცაძე, ნუგზარ კოკოლიშვილი, დავით თორთლაძე, გივი ვაშაკიძე, მიხეილ ბერიშვილი, ირაკლი მასხულაძე, არჩილ ყლენტი.

მაშ ასე, შაბათს 14 საათიდან ეს ხალხი მაყურებელთა გახალისებას შეეცდება ლამაზი და ეფექტური თამაშით.

**ირაკლი პერტაია**

# NBA PLAY OFF 2005 კონფერენციის ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა





— 25 მაისი —

**აღმოსავლეთი**

მაიამი 1:1 დეტროიტი

**მაიამი 92:86 დეტროიტი**

**მაიამი:** ვეიდი (40 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), დ. ჯონსი (14), ე. ჯონსი (6), ჰესლიპი, ონილი (17 ქულა, 10 მოხსნა); მურნინგი (6), ლეიტნერი (4), დულინგი (3), ბატლერი (2), დოლიკი

**დეტროიტი:** ბილაფსი (14 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ჰამილტონი (21), პრინსი (17), რ. ვოლესი (15), ბ. ვოლესი (4 ქულა, 14 მოხსნა); ჰანტერი (6), აროიო (4), კემპბელი (3), მაკდაიესი (2), ჰემი

# დაივიწყე, მოგეშვება

## შაკმა ვეიდი ჩემპიონებზე დაგეშა

**თამაშისწინა** საღამოს არა, რა საღამოს, ღამის 3 საათზე, შაკილ ონილმა შინ დაურეკა ყმაწვილ თანაგუნდელ დუეინ ვეიდს. ისინი თითქმის მთელი დღე ერთად იყვნენ და შაკი და კიდევ ერთი ვეტერანი ალონზო მურნინგი ტვინს უბურღავდნენ „მაიამი ჰიტის" 23 წლის ლიდერს — წინა თამაში თავიდან ამოიგდე, ყველაფერი დაივიწყე და ისე ითამაშე, და ასე შემდეგ. მერე კი ონილმა საკონტროლო გასროლაც გააკეთა — არ მოერიდა ვეიდის ცოლ-შვილის გაღვიძების და ტელეფონში უთხრა, ხომ კარგად გახსოვს, რაც გელაპარაკეო.

ვერ გავკადნიერდებით და შაკს პებერს ვერ ვუწოდებთ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ის „მხოლოდ" 33 წლისა გახლავთ და წლევანდელ თითქმის სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გახდა. მაგრამ შაკი აღარ გაურბის იმის აღიარებას, რომ ყველაფერი მასზე აღარაა დამოკიდებული და უფრო მეტად ვეიზეცაა დამოკიდებული, იმ სიმხნევეზე ჯეელს სწორედაც რომ გამოადგა ათასზე თუ არა, ათზე მეტ პლეი ოფზე გალამხტარი ოთხრობა კაცის შეგონებანი.

ონილს მაინცდამაინც ღრმა ინტელექტუალ კაცად ვერ იცნობენ, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ის ისეთივე მოქნილი ფსიქოლოგი ყოფილა, როგორიც მოთამაშე. ვეიდიც გონიერი და დამჯერი პაციენტი აღმოჩნდა, შაკის ძველი თანაგუნდელის კობი ბრაიანტისგან განსხვავებით — მოუსმინა, შეიგნო და გაითავისა...

გაგვიგრძელდა შესავალი... ერთი სიტყვით, 25 მაისს ყველამ სულ სხვა დუეინ ვეიდი იხილა მოედანზე, ვიდრე ორი დღით ადრე. „დეტროიტთან" პირველი ჯახისას მან ბევრი უაზრობა აკეთა, 25 ტყორცნიდან 18 ააცილა და მხოლოდ 16 ქულით დაასრულა შეხვედრა, რაც მისთვის ამ პლეი ოფების ანტირეკორდი გამოდგა. ამჯერად კი მან მართლაც ყველაფერი ამოიღო და მოედანზე დადო, საქმე ჯიგრით და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დადინჯებული ვეტერანის ჭკუით აკეთა და ჰა, შედეგი — 40 ქულა მარტო მის ანგარიშზეა, ხოლო „მაიამიმ" სერიაში ანგარიშის გათანაბრება შეძლო და უფსკრულისპირსაც მოშორდა.

„სამშაბათ საღამოს ბევრ გამოცდილ კაცს ველაპარაკე — შაკს, ზოს, ჩემს ძველ მწვრთნელს უნივერსიტეტიდან და ყველამ თავისებურად დამარიგა. მაგალითად, პატ რაილიმ მითხრა, რომ ჯორდანსაც ჰქონია ცუდი თამაშები და შენც ნუ განიცდი ამასო. მეც თანდათან ვხვდები, რომ რაც მალე დაივიწყებ ცუდს, მით უკეთესია შენთვისაც და ყველა შენიანისთვისაც."

დაივიწყა და მერე როგორ, ვეიდი მთელი თამაში სოლიდურად ბურთაობდა და მეოთხე მეოთხედში სულ აიწყვიტა. გადამწყვეტი 12-წუთეულში თავისიანთა პირველი 16 ქულიდან 14 სწორედ მან გააკეთა, სულ კი ბოლო მეოთხედში 20 ქულა მოიხვეჭა. თავისთავად არც დეტროიტელებს ეძინათ. დაძაბული თამაში იყო — 14-ჯერ შეიცვალა ლიდერი და 10-ჯერ გათანაბრდა ანგარიში. „დეტროიტმა" ბოლოს 78:78 გაათანაბრა და საფინალო სირენამდე ოთხიოდ წუთით ადრე, მაგრამ მერე მასპინძელთა ზარმა ჩამოჰკრა. შაკილ ონილმა ერთ შეტევაში სამი ქულა იშოვა და 81:78 დააწინაურა „მაიამი". შემდეგ მურნინგმა ბენ ვოლესს დაუფარა, ბურთი ვეიდმა მოიხელთა და 5 ქულით წასწია თავისიანები. მურნინგმაც ჩააგდო ორი საჯარიმო და — 85:78.

კარგი გუნდია „დეტროიტი". მისთვის შარშან ჩემპიონობაც არავის უჩუქებია და როგორ ჩაახრჩვეს ფინალში თავის, მით უფრო, რომ ორი წუთით წინ ჰქონდა. ტაიშონ პრინსმა ზედიზედ 4 ქულა გაჰკრა და „პისტონსი" ერთი სამქულიანის სატყორცნ მანძილზე მოუახლოვდა „ჰიტს", თუმცა ეს სამქულიანი რაშიდ ვოლესს გაუცუდდა და ყველაფერიც აქ დამთავრდა.

არა, დამთავრდა კი არა, ყველაფერი ახლა იწყება — „მაიამი" და მისი ლიდერი გამოფხიზლდნენ, თორემ პირველი თამაშის შემდეგ ვშიშობდით, „დეტროიტმა" უშრომ-უბრძოლველად არ მოამთავროს საქმე-თქო.

**კოტე ყორშია**



## ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი

# ჯირო დისკოვერის თვალით



საერთო ჩათვლის ყოჩი პაოლო სავოლდელი

**მოულოდნელად** დასრულდა „ჯირო დატალიას" მე-16 ეტაპი და ამაში გუნდ „კრედიტ აგრიკოლის" 24 წლის ფრანგ მრბოლ კრისტოფ ლე მეველის გამარჯვება იგულისხმება. ამ ჯეელს ცხოვრებაში არ მოუგია სერიოზული ველოტურის ეტაპი, ახლა კი ქვეყანას გააცნო თავი.

მილანის მეზობელ ლისონედან ხმელთაშუა ზღვისპირა ვარაზემდე დაგებულ 207-კილომეტრიან საუცხოო, თუმცა ძირითადად ვაკე გზაზე არც იყო მოსალოდნელი ლიდერ სავოლდელიზე შეტევა და მის რომელიმე კონკურენტს რომც გაებედა, ისიც და მისი გუნდი „დისკოვერიც" უპასუხოდ არ დატოვებდნენ. ცნობილი მეცნიერულ-შემეცნებითი ტელეარხის დასპონსორებული გუნდი პელოტონს წვერში ედგა და დინჯად გზას აკონტროლებდა — აბა, თუ ვინმე კონკურენტთაგანი გაიქცევაო, მაგრამ თავი არც დანილო დი ლუკას გამოუდვია, არც ჯილბერტო სიმონის და სხვა მეტ-ნაკლებად ყოჩაღი ბიჭებიც არ ამჟღავნებდნენ აგრესიას. ხოლო საერთო ჩათვლის სიღრმეებში ჩაკარგულ და ახლა გამოჩენილ მრბოლებს „დისკოვერის" „მატარებლიდან" აუღელვებლად ადევნებდნენ თვალს. სულ 18 ასეთი მოსწყდა პელოტონს და მათ შორის არავინ გახლდათ ცნობილი. ამ გუნდიდან ბოლო კილომეტრებზე ექვსნი დაწინაურდნენ, ძირითადად ერთად იარეს და მოძალებულმა გამარჯვებულმა კრისტოფ ლე მეველმა ფინიშამდე ორი კილომეტრით დაატანა პედლებს ძალა. სხვებმა კი სცადეს ზურგში მიყოლა, მაგრამ ლამის ხუთსაათიანი გზის შემდეგ მრბოლელებს ძალა წართმეოდათ და კრისტოფმაც ფინიშთან 9 წამით მოასწრო ბელგიელ სეხსნია ბრანდს.

**კოტე ყორშია**

**მე-16 ეტაპი. 25 მაისი. ლიზონე — ვარაზე. 207 კმ**

| | |
|---|---|
| 1 კრისტოფ ლე მეველი (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) | 4 სთ, 50 წთ, 51 წმ |
| 2 კრისტოფ ბრანდტი (ბელგია, ლოტო) | -9 წმ |
| 3 ალესანდრო ვანოტი (იტალია, დომინა ვაკანზე) | -16 წმ |
| 25 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | 22 წთ, 16 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | 76 სთ, 7 წთ, 16 წმ |
| 2 დანილო დი ლუკა (იტალია, დისკოვერი) | -25 წმ |
| 3 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) | -1 წთ, 48 წმ |

# როდიკი ისევ გამოამწორწრევეს

## მეორე წრე

**კაცები**

**ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ენდი როდიკი (2, აშშ) 2:6 4:6 6:4 6:3 8:6; **მარატ საფინი** (3, რუსეთი) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:7 (6:8) 6:3 7:5 6:1; **გილერმო კორია** (8, არგენტინა) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი და ჩერნოგორია) 4:6 6:2 3:2 **უარი თამაშის გაგრძელებაზე**; **გილერმო კანიასი** (9, არგენტინა) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:1 6:3 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (12, რუსეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 3:6 7:5 6:2 6:3; **ტომი რობრედო** (15, ესპანეთი) — დიკ ნორმანი (ბელგია) 6:4 6:2 6:4; **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (19, შვედეთი) 6:3 3:6 4:6 7:6 (7:4) 6:4; **ტომი ჰაასი** (221, გერმანია) — ვინსენტ სპედია (აშშ) 6:4 6:3; **ფილიპო ვოლანდრი** (27, იტალია) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 6:4 6:1 6:2; **ნიკოლას კიფერი** (28, გერმანია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 4:6 6:2 6:2 4:6 6:4; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — მიხაილ იუჟნი (29, რუსეთი) 6:3 6:4 7:6 (7:5); **ხუან კარლოს ფერერო** (32, ესპანეთი) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:4 6:4 6:2;

**ქალები**

**მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 6:3 6:2; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — ალიზ კორნე (საფრანგეთი) 6:0 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (6, რუსეთი) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:3 6:4; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — სევერინ ბელტრამი (საფრანგეთი) 6:1 6:3; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (10, ბელგია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:1 6:4; **ელენა ბოვინა** (12, რუსეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:1 1:6 6:4; **ტატიანა გოლოვინი** (17, საფრანგეთი) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 6:0 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე** (22, იტალია) — ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) 6:2 7:6 (7:5); **მედინა გარიგესი** (ესპანეთი) — მაგდალენა მალეევა (24, ბულგარეთი) 6:3 6:4; **ანა ივანოვიჩი** (29, სერბეთი და ჩერნიგორია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:3 6:1; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:4 6:3

**მართალია,** ენდი როდიკი დიდ სათიხნარო ძალად მისაჩნევი არასოდეს ყოფილა და რაიმე განსაკუთრებული თიხნარწარმატებისთვის ამ როლანგაროსობისთვის მზადებისთვის მიუღწევია, მაგრამ რაკიღა საამმომენტოდ ამქარში რანგით მეორე ჩოგანს აქნევს, საფრანგეთის ღია პირველობის მეორე წრეში — და თანაც განუთესავი მეჩოგნისგან — მისი წამოქცევა დასტურ სენსაციად მოსანათლი ამბავია. ეგ მით უფრო, რომ გუშინდელი მატჩი ენდიბოიმ ღონივრად დაიწყო და ორი სეტითაც უპირატესობდა. თუმცა ხოსე აკასუსომ, რომელსაც კარიერის ორი თიხნარტიტული სოპოტსა და ბუქარესტში მოურეწავს, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თიხნარზე მაინც უფრო ესპანურენოვანი კაცები მძლავრობენ... როცა ნამატჩევს იგი კორტზე პირაღმა გაიშხლართა, როდიკმა ბადეს გადაალაჯა და მისალოცად ეახლა. როლანგაროსობის მეორე წრიდან გავარდნა მისთვის არახალი ამბავია — შეგახსენებთ, რომ ტურნირის დატოვება მას შარშანაც ამ ეტაპზე მოუხდა.



ლინდსი დევენპორტი

# ლინდსი და ჩინელები

**ლინდსი** დევენპორტი საფრანგეთის ღია პირველობაზე 1993 წლიდან გამოდის, მაგრამ ჯერ ვერ იქნა და ტიტულს ვინ ჩივის — ფინალამდე ვერ მიუღწევია. მისი საუკეთესო იქაური შედეგი 1998 წელს ნახევარფინალში თამაშია, თუმცა ამაზე ხშირად ის პირველი წრიდან გამოვარდნილა. არადა, როლანგაროსობა ერთადერთია დიდი მუზარადის ტურნირებიდან, რომელიც ამ შეოცდარვაწლოსებულ ბანოვანს არ მოუგია. აქედან გამომდინარე, ლინდსის ძალიან უნდა საკარიერო „დიდ სლემს" კარიერას დაისისკენ მაინც მოუკრას ჭიპი, თუმცა ისიც კარგად იცის, რომ ამის გაკეთება მას ძალიან გაუჭირდება.

„აქ ვარსკვლავებთან შეთამაშების იმედი არა მაქვს — ამბობდა ის იმ დღეს 19 წლის ჩინელი შუაი პენთან 3:6 7:6 (7:4) 6:0 მოგებული შეხვედრის შემდეგ — აკი თავადაც ხედავთ, თიხნარზე გადაადგილება როგორ მიჭირს".

და მართლაც, უსახელო და გამოუცდელი ჩინელის წინააღმდეგ ლინდსის კი ძალიან [illegible] მოუხდა. და მეორე [illegible] მატჩში მარცხისგან ორი ქულაც კი აშორებდა.

მაგრამ გამოირკვა, რომ [illegible], დაძაბული მერე ლინდსი და [illegible] სტური არ ცრუობდა, რაკიღა [illegible] შიანად ბურთაობდა და მხოლოდ მის გამოუცდელობას უნდა მიეწეროს, ლაშის ბექებზე დადებული ფავორიტს ბოლომდე რომ ვერ [illegible].

ისე კი შეგახსენებთ, რომ ჩინელები — როგორც ყველაფერში [illegible] ჩოგბურთშიც კრიგ [illegible] ვინძლო, თქვენც მოგეხსენებათ, [illegible] შარშანდელ როლანგაროსობაზე [illegible] მათიანი წინ ძი [illegible] ტურნირის მეოთხედფინალამდე მისული პირველი ქალი რომ შეიქნა, მოგვიანებით კი ლი ჯინგმა და სუნ ტიანმა ათენის ოლიმპიადის ქალთა საწყვილოსნო შეჯიბრებაც იმარჯვეს და ყველას გვამცნეს, აწი ჩინელ ქალთა წარმატებები რომ აღარ უნდა გვიკვირდეს. ჰოდა, ჩვენც აღარ გაგვიკვირდება. მანამდე კი მაინც ლინდსის ვემხრობით, რადგანაც ამჯერად ამერიკელი თავისი პირველი როლანგაროსული ტიტულის გარდა [illegible] პირველობნობის შენარჩუნებისთვისაც იბრძვის. აკი სწორედ გუშინ გაიწყებდით, თუ რაგვარი მეხილი შეიძლება მას მისივე ფეხდაფეხ მდევარი მარია შარაპოვამ — ლინდსი გაიზე გადექ და [illegible] მე დამითმე მააშ!

# ოჰ, ეს ნავრატილოვა

**მარტინა** ნავრატილოვა 48 წლის აბის, უხანგრძლივესი კარიერისას 18 საერთეულო, 31 საწყვილოსნო და 9 შერეულთა ტიტული მოურეწავს, მაგრამ ჯერ არც დაღლილობას გრძნობს და არცთუ გამარჯვების მადა დასცხრომია. მიმდინარე როლანგაროსობის საწყვილოსნო ტურნირზე ის მასზე ნაკლებ, მაგრამ მაინც ჭეშმარიტად ლეგენდარულ არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან ერთად გამოვიდა და — აკაშმე — პირველსავე წრეში იძლია. ბრწყინვალე [illegible] 6:4 3№5 6:3 აჯობა ესპანელთა — ლურდეს დომინგეს ლინოსა და ნურია ლიაგოსტერა ვივესის წყვილმა თუმცა დიადი დედამთავალი ამაზე გაჩერებას მაინც არ აპირებს და ინდოელ ლეანდერ პაესთან ერთად შერეულ წყვილებშიც გაირჯება.



ტიმ ჰენმანი

# საფარი ნახე, ბურთი გააგორე

**ტიმ** ჰენმანი ლამის უკანასკნელი მეჩოგნეა, ვინაც მძლავრი მოწოდების შემდეგ უმალ ბადესთან მიიჭრება ხოლმე. ამ, თითქმის უკვე გადაჯიშებული ყაიდის მეჩოგნეთ „მოაწოდე-მიეძალე" ტიპისას უწოდებენ და, რაკიღა ასე ბურთაობა უფრო სწრაფ საფარზე ხერხდება, როლანგაროსობაზე ამგვარად მოჩოგნავეთ წარმატებისთვის ძვირად თუ მიუღწევიათ. ამის კლასიკურ მაგალითად პიტ სამპრასი გამოდგება, ვინაც დიდი მუზარადის დანარჩენ სამ ტურნირზე ჯამში სარეკორდოდ ბევრი, 14 ტიტული რომ იშოვნა, როლანგაროსობაზე ეგრეც ვერ გატეხა ნავსი.

სწორედ იმის გამოვე, რომ ტიმ ჰენმანი ამავე ყაიდის მობურთალია, ყველასთვის მოულოდნელი იყო, საფრანგეთის შარშანდელ ღია პირველობაზე ბრწყინვალე რომ გაირჯა და ნახევარფინალს უწია. ცხადია, წლეულს მისგან ყველა იმავის გამეორებას თუ არა, რაღაც მიახლოების ჩვენებას მაინც ველოდით, თუმცა არც ის გვაეიწყდებოდა, რომ ამ სეზონში ჰენმანს ხეირიანად არსად უბურთავია და თითქოს მოლოდინის უფლებაც არ უნდა გვქონოდა.

ასეც გამოვიდა — დახვეწილმა ბრიტანელმა ვერაფერი გააწყო 24 წლის პერუელ ლუის ორნას წინააღმდეგ, ვინაც ძალზედ ჯიგრიანად ითამაშა და ჩოგანი მას პირველი გათამაშებიდან სამი საათისა და ათი წუთის თავზე დააშლითებინა. ეგ მით უფრო დასაფასებელია, რომ ორნამ მატჩის მსვლელობისას მარჯვენა კოჭი გადაიბრუნა და მას შემდეგ, რაც ნამატჩევს ჰენმანისგან მოლოცვა მიიღო, მყისვე აქიმს მიაშურა. ბრიტანელის ტკივილებს კი, რაიც უფრო არამატერიალური ხასიათისა გახლდათ, ვინძლო მოგვიანებით „ლივერპულის" საარაკო გამარჯვება გაანელებდა.

# უილიამსდა



ვინუს უილიამსი

**ვინუს** უილიამსი 24 წლისაა და კარიერისას დიდი მუზარადის 4 ტურნირზე უპირველია. წლით უმცროს მის დაიკო სერენას კი 7 სლემტიტული მოუნაგრავს. უილიამსთა 11-გზის მესლემტიტულე ოჯახს წლევანდელ როლანგაროსობაზე მხოლოდ ვინუსი წარმოადგენს. ტურნირის 2002 წლის ჩემპიონ სერენას — და ფინალი მან მაშინ სწორედ ვინუსს მოუგო — კოჭის ტრავმა აწუხებს და ჩოგნის ქნევას მან შინ პულტის ქნევა არჩია.

შარშანდელი მაისის შემდეგ ერთი ქეციანი ტიტულის ვერმომგებ ვინუსის საამროლანგაროსო შანსებს საქმეში ჩახედული ხალხი მაინცდამაინც დიდ ფასს არ აძლებდა, მაგრამ მათი შეხედულებაც და თავად უფროსი უილიამსის გუნებაც ოდნავ გამოაკეთა ზედ როლანგაროსობის წინ სტამბოლში გამართულმა პირველმა იქაურმა ტურნირმა. ვინუსმა იქ არიფეშში გაილაღა და კარიერის 32-ე ტიტულთან ერთად საპრიზოდ საჭირო თავდაჯერებულობაც შეიმარაგა.

ეს თავდაჯერებულობა ჯერჯერობით ამართლებს, თუმცა კოლუმბიელი სულუაგას წინააღმდეგ იმ დღეს მან 45 უნებლიე შეცდომა დაუშვა და ერთი სეტი მაინც დათმო — 6:3 3:6 6:3.

ზოგჯერ ამ სათიხნარო განდაგანებისგან მაგრა ვიღლებით, იახზდა ის მერე და ამით კიდევ ერთხელ აღიარებდა, ნელ საფარზე თამაში მაინცდამაინც ჩოგანზე რომ არ ეხატება. სხვაფრივ კი — ნამატჩევს ისევ სერენას აქებდა, ეს ყველაზე მაგარიაო და მერე თავის სტამბოლურ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა. თურმე იქაც, ისევე როგორც ყველგან, კორტგარე დრო ძირითადად მაღაზიებში გაუტარებია და უმეტესად ძვირფასეულობას დაჰხარბებია.

ჩვენ კი ბოლოს შეგახსენებთ, რომ ვინუსს დიდი მუზარადის ტურნირებზე 2001 წლის შემდეგ აღარ უმარჯვია — მის წინ ბედისწერად ჯერ უმცროსი და აღიმართა, მერე კი ტრავმები, რამაც უძლეველი მებრძოლიდან მოწყვლადი მეჩოგნემდე დააქვეითა.

# მთავარი კორტის მიღმა

გაზეთები აჭრელებულია მეროლანგაროსე ჩოგბურთელთა ფოტოებით. თავად „როლან გაროსი" კი როგორ გამოიყურება, იშვიათად რომ ვინმეს ნანახი ჰქონდეს. როგორ გამოიყურება და, ასე.




AFP

# ბრიტანელები იმპერიის განაპირას

ინგლისელი მოკრივეტენი დღეს ქქსკვირიან ტურნეს იწყებენ ახალ ზელანდიაში, სადაც დასტურ გაჰყვება ფანთა არმია. რატომ გვგონია? იმიტომ, რომ ყველგან დაჰყვებიან. თუნდაც სამხრეთ აფრიკულ ტურნეში, რომლის ფოტოსაც ხედავთ. თუ ბრიტანელ ფანებს 30 ათასი მილის გავლის არ შეეშინდათ, არც ზელანდიაში წასვლას შეუშინდებიან.







AFP

# ისინი ჩავიდნენ პარიზში

88-ე ჯიროს მეთექვსმეტე ეტაპი აგრიკოლეს წევრმა კრისტოფ ლე მეველმა მოიგო და რა გასაკვირია, რომ მილოცვებს იღებს. ეს მიმლოცველი მისი თანაგუნდელი იანიკ ტალაბარდონი გახლავთ, გეოგრაფიის ტრფიალთ კი მოვახსენებთ, რომ აღნიშნული ეტაპი ლისონში დაიწყო და პარიზში დასრულდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კოკა ასათიანი, ილია ხანიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აჩელდიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერია, კახა ხეცაშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: კახა ახალაძე, ლევან კალანდაძე, თამარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ლილუაშვილი, მაკრი კვინიკაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოჩაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან კრისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge